# ბახტრიონი

ფასი 10,000 მ.

რედაქციის მისამართი: პუშკინის პასსაჟი ტელეფ. 8—04

განცხადების ფასი: სტრიქ. 20.000.

კვირეული სალიტერატურო და ინფორმაციის გაზეთი

№ 14 — ორშაბათი 9 ოქტომბერი — № 14


## ამ ნომერში ექვსი გვერდია


# მუშათა მთლიანი კოოპერატივი

## (ЕРКООП)

## თბილისში

ამით აუწყებს ამიერ-კავკასიის, ჩრდილო-კავკასიის და სპარსეთის **სახელმწიფოებრივ** თუ კოოპერატიულ დაწესებულებებს ან კერძო პირებს, რომ მუშ. მთლ. კოოპერატივის გამგეობის მიერ დადებულია ხელშეკრულობა საზღვარ-გარეთის ცნობილ დიდს ფირმასთან შემდეგ საქონელის რეალიზაციისთვის:

| | | |
|---|---|---|
| მანუფაქტურა | სახმარი ნივთები | ა ა ო ა ლ დ ი |
| ფეხსაცმელი სხვა და სხვა | შ უ შ ე ა ი | საკანცელარიო ნივთები |
| გალანტერეა | ჭ უ რ ჭ ე ლ ი | ქ ა ღ ა რ ი |

**სასოფლო-სამეურნეო იარაღები და ტეხნიკური საგნები.**

მთლ. მუშ. კოოპერატივს ეკუთვნის განსაკუთრებული უფლება ზემოხსენებულ საქონლის სერეალიზაციო წარმომადგენლობისა საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში, ჩრდილო-კავკასიაში და სპარსეთში, სადაც მოკლე ხანში გაიხსნება ხვაგანგებო განყოფილებანი ხსენებულ საქონლის გაყიდვისათვის.

ბათუმში უკვე გვაქვს პირველი დიდი პარტია **გუთნების** (სხვა და სხვა) **საკპის** ტიპის ხომინდის საწმენდები და ფარცხები, ამ დღეებში ეს საქონელი თბილისში ჩამოდის ეს საქონელი იყიდება გაცილებით იაფად ვიდრე ბაზარზე.

**ყიდვის პირობების გაგება შეიძლება:**

| | | |
|---|---|---|
| 1. მუშ. მთლ. კოოპერატივის გამგეობაში თბილისი კირშის ქ. № 7. გამგეობის წევრის ი. ს. მელიქიშვილთან ადრესი დეპეშისთვის: თბილისი—**ერკოოპი.** | 2. ერკოპის ცენტრ. საწყობში. სომხის ბაზარი, ბამბის რიგები. ყოფ. პასსაჟი მანთაშევის, ტელეფ. 1 40 საწყ. გამგესთან გ. ლ. რომენდიკთან. | აქვე შეიძლება საქონლის ნიმუშის ნახვა. |

მოკლე ხანში ბათუმში მოვა გემი დიდი საქონელით.

**მთლ. მუშათა კოოპერატივში მიღებულია ახალი საქონელი ს ა ზ რ ი ს ფ ა ს ე ბ ზ ე ი ა ფ ი გაცილებით.**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კართოფილი | 2.000 მან. | კაკაო | 80,000 მან. | საპ. ტოლლე | 29,000 მან. | ლობიო | 4,000 მან. |
| შაქრ. ფხვნილი | 25.000 „ | საპნა | 18,000 „ | „ მარსელ. | 34,000 „ | ბრინჯი | 15,000 „ |
| ჩაი სხ. და სხ. | 80.000-200.000 მ. | გარგარი | 7,000 „ | საპირფარ. | 10,000 „ | ფქვილი თეთრ. | 14,000 „ |

ამ კვირია გამოვა გასაყიდათ ყველა მაღაზიებში.
**მოსკოვ. მანუფაქტურა**

**ყოველდღიურად მაღაზიებში:**
თეთრი პური 1 ხარისხის 10.000 მ. გირ.
შავი პური წმინდა კახ. ფქვილ. 5.000 მ.

**სარძევე გასტრონომიულ მაღაზიებში.**
1) პუშკინის ქ. 5.
2) პიროგოვის, 1.
3) მიხეილის, 93.
4) ვერისა და ოლღას კუთ.
5) მიხეილის, 5.

ყოველდღე გვაქვს გასაყიდან **რძე 6.000** კრუჟკა, საკუთარ ქარხნების ნაწარმოები. ერბო, კარაქი, ყველი, ხაჭო. არაჟანი და ძეხვეულობა.

**თევზეულობის მაღაზიაში:** პუშკინის ქ. ნ. ყ. ძეგველოვის — **ყოველნაირი თევზეული** უმაღლესი ხიზილალა გირვანქა 120.000, აგრეთვე დიდძალი დამარილებული თევზეული.

**ყველა მაღაზიებში:** გარდა სარძევის, ღვინის და თევზეულობის ვაჭრობა ხდება, **განსაკუთრებით** საწევრო წიგნაკებით დამატებითი საპაიო გადასახადით 100,000 პაის შეტანისას მიცემულია ვადა 1 ოქტომბრამდე 50,000 და ოქტომბერსა და ნოემბერში 25.000, პაის შეტანის დროს საწევ. წიგნაკ. უნდა ჩაიწეროს შესაფერი მარკ. ჯგუფობრივი შეტანილობა მესტკომებ. მიიღება გამგეობაში, კირშის ქ. 7 მესამე სარ.

**ამ დღეებში მთლიანი მუშათა კოოპერატივი გამოუშვებს დიდძალ საქონელს, გაცილებით იაფს, ვიდრე ბაზარზეა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლატარია ხელოვნებისთვის.

წინა წერილში ჩვენ აღვნიშნავდით, რომ ქართულ ხელოვნებისთვის დაარსებულიყო განსაკუთრებული ფონდი, რომელიც შესდგებოდა იმ გადასახადიდან, რასაც დაადებდენ, როგორც წინათ თეატრებს და სხვა გასართობ ადგილებს. ჩვენ მაშინ აღვნიშნავდით, რომ ეს საქმე მით უფრო მოსახერხებელია, რომ დამშეულთა დამხმარე კომიტეტების მუშაობა თანდათან ნელდება რადგან შიმშილობას ეკარგება მწვავე ხასიათი.

ეხლა როგორც რუსეთიდან მოსული გაზეთები გადმოგვცემენ იქ კიდეც დამდგარა საკითხი ამ კომიტეტების ლიკვიდაციის, განზრახულია ახალი კონსტიტუციის შედგენა, რომელიც რასაკვირველია უფრო ნაკლებ სახსარს მოითხოვს, და აქედან შემოკლდება უთუოთ ის თანხა, რომელიც ეხლა ამ კომიტეტში მიდის; ამ საკითხის შესახებ ჩვენ გაზეთში დაიბეჭდება გეგმა ამ ფონდის შესადგენათ, მხოლოდ დღეს გვინდა მივაქციოთ ყურადღება სხვა საგანს.

როგორც ჩვენ რედაქციას შეატყობინეს სრულიათ საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარ კომიტეტს ჰქონია მსჯელობა ხელოვნების ფონდის შექმნის შესახებ და ზოგიერთი პრაქტიკული ნაბიჯიც გადაუდგამს; მთელ რიგ სხდომებზე ყოფილა ამაზე მსჯელობა და მთავარ კომიტეტს მოუნახავს ერთი საშუალება, რომელსაც უთუოდ შეუძლია ჰქონდეს მომავალი. კომიტეტს გადაუწყვეტია მთელ საქართველოში გამართოს მომგებიანი ლატარეა 10 მილიარდის. კომიტეტი თავის მოხსენებაში აღნიშნავს, რომ ქართული ხელოვნება—ქართველი ხალხის საქმეა, და ისე არავის არ დაეწვება გული იმისთვის, როგორც იმავე ხალხს, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ლატარიას ექნება გასავალი, რადგან ამისთვის საჭირო მორალური თანაგრძნობა ყოველთვის არსებობდა ჩვენ ხალხში. ამის გარდა თვითონ ქართველი ხელოვანებიც ჩაერევიან საქმეში და ამ დაინტერესებასაც ექნება მნიშვნელობა.

როგორც გადმოგვცემენ იმავე წყაროდან მთავარ კომიტეტს კიდეც შეუდგენია ორი თვის წინად მოხსენება და წარუდგენია მთავრობისთვის დასამტკიცებლად.

ეჭვს გარეშეა, რომ ეს მოხსენება იქნება დამტკიცებული, რადგან თუ მთავრობას თვითონ არ შეუძლია დაეხმაროს მწიგნობრობას, მას არაფერი არ ექნება ყოველ შემთხვევაში იმის წინააღმდეგი რომ ეს საქმე თვითონ ხალხმა მიიღოს თავის თავზე და არ ჩააქროს მრავალ საუკუნიანი ერის კულტურა.

მხოლოდ ჩვენთვის გასაკვირია, რატომ ამ ხნის განმავლობაში არ იქნა ეს მოხსენება დამტკიცებული.

ვის ედება ამაში ბრალი დაწესებულებათა ბიუროკრატიზმს, თუ თვითონ კომიტეტის დაუდევრობას.

ყოველ შემთხვევაში ეს წვრიმალია, საქმე უფრო ის არის რომ ეს საკითხი მალე იქნეს გადაწყვეტილი და მუშაობა დაწყებული, რადგან ამ საქმის დაყოვნება საფთხეში აგდებს ქართულ ხელოვნებას, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საზოგადოება ყურადღებით შეხვდება ამ დაწყებას, და თუ თვითონ მოახერხა საკუთარი ხარჯით საძირკველი ჩაეყარა ქართულ დრამატიულ სტუდიისთვის ამ დიდ საქმისთვისაც მონახავს საჭირო თანაგრძნობას და ამასაც გამარჯვებით დააბოლოებს.

**ვარამ გაგელი.**

# ქართული დრამატიული სტუდია

უკვე აღნიშნული იყო რომ ქართული თეატრის კრიზისის დაძლევა შეიძლება მხოლოდ ძირიდან, ისე მისი ბედი იმთავითვე განწირულია. უთუოდ ქართული თეატრის დაცემის და დაშლის მიზეზი სავსებით თუ არა, ოდნავ მაინც მის შინაგან ბუნებაში უნდა იქნეს მოძებნილი, თუმცა არის სხვა გარდამავალი ელემენტებიც, რომლებიც თეატრს გილიოტინის მოლოდინში გრეხს.

რა თქმა უნდა ქართულ თეატრს არ აქვს წელმაგარი კულტურა გაგებული იმ აზრით, როგორც ეს მიღებულია დღეს. კულტურას ქმნის ტრადიცია ასეთს კი ქართული თეატრი სამწუხაროდ მოკლებულია. მას აქვს ტრადიცია ხრომინოთი პარის და გატაცებ...ს, დღეს ესეც დაჰკარგა და დარჩა უსარჩულო, სულს დაშორებული.

თეატრალურ უკულტურობის გამამხელია აგრეთვე უცილობელი ფაქტი, რეცენზიის უქონლობა. იშვიათად წამიკითხავს ცოდნით და თეატრალურ ხელოვნების სიყვარულით დაწერილი რეცენზია. სწერენ ისეთები, რომლებსაც შორეული წარმოდგენაც კი არ აქვთ თეატრზე და შემოქმედებაზე, რომელიც მის კულისებში იშლება.

ქართველში მოცემულია პოტენცია სხვად ქცევის, ფერის ცვალების, მაგრამ საკუთარ თეატრის, დიდ ღირებულების მატარებელის, ხორცხმისათვის არ ყოფნის ბიოლოგიური ენერგია. ამიტომ ძნელია, რომ ქართულმა თეატრმა მიიღოს ფართო რეზონანსი. ქართულ თეატრში ყოფილა ისეთი დადგმა, რომელიც ბევრით არ ჩამოუვარდება სამხატვრო თეატრის დადგმას არც ტემპერამენტით, არც მხატვრული ეფექტით. მაგალითი: „მსხვერპლი", „გუშინდელნი", „ვინ არის დამნაშავე". შესაძლებელია ასეთ პიესების შერჩევა და მათ დადგმაში სისტემისშეტანა. ამ გზით განსაკუთრებულ სტილის თეატრის ჩამოყალიბება. მაგრამ ამას ვერ გაუძლებს ერი სტატისტიკა. უკანასკნელის გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა ხშირად.

არის ერთი მთავარი მიზეზიც: საერთო მაშტაბით დასმული საკითხი თეატრის კატასტროფის. ამას აქვს უფრო რადიკალური ხასიათი: მისაღებია თეატრი დღევანდელ ფორმით თუ უნდა მოხდეს მისი მეტამარფოზა სრული. უეჭვოა ერთი: არსებულ თეატრის გადახალისება სრული, რომ სცემდეს იგი თანახმიერად ცხოვრების პულსთან. დიდი ომის და სოციალურ ხასიათის კატაკლიზმების შემდეგ, რომლებმაც შექმნეს ახალი ფსიქიკა და გაგება მატერიალურ თუ სულიერ კულტურის, თეატრი ვეღარ დარჩება ძველ ფორმებში. პირველ ყოვლისა ძველ თეატრის აუდიტორია დადნა. აუდიტორია რომელიც თავის დროზე მაღალ ტრადიციების მატარებელი იყო. ახალი აუდიტორია უმთავრესად მეშჩანური, წვრილ ბურჟუაზიული ფსიქოლოგიის პატრონი. მასში არ არის პათოსი თავდადების, გმირობის და დიდი გატაცების. მისთვის მიუღებელია თეატრი, ვინაიდან უკანასკნელი განსახიერებაა რაინდული თავდადების, მსხვერპლით გამოსყიდვის, იქნება იგი კლასიკურ ტრაღედიის ფორმებში ჩამოსხმული თუ მისტერიული ხილვით შენელებული. ახალ აუდიტორიისათვის მისაღებია უფრო კინემო, ცირკი და ახალი ტიპი თეატრის „მიუზიკ ხოლ". გასართობი, სანახობა. ამიტომ თეატრის კრიზისი არ მოილუნება ვიდრე არ მოხდება ახალ აუდიტორიის დეფორმაცია.

კიდევ ერთი მიზეზი შინაგანი ხასიათის: უნდა ითქვას გულახდით ქართველ სცენის მუშაკთ არ აქვთ ხალისი ძიების, წვის, ახალი საზღვრების ხილვის და ზესვლის. მაგალითი: გრიგოლ რობაქიძის „ლონდა", უთუოდ ახალი მოვლენა ქართულ დრამატურგიაში, პირველად რუსულად დაიდგა.

მაგრამ არის ერთი მიზეზი, რომელიც ამასთანავე შემცველია ყველა სხვა მოვლენათა: ქართულ თეატრს არა ყავს მომზადებული კადრი არტისტების. არ არის მასალა აღჭურვილი სცენის ტეხნიკით და თეატრალურ მიღწევებთან დაახლოვებული. არ არის ატმოსფერა თეატრის კულტურის, რასაც ქმნის პროფესიონალი არტისტი თავისი შთაგონებით და ლამაზი ჟესტით. ამიტომ მორიგი ამოცანა ქართული საზოგადოების ვიდრე არ დაცვდება და დაიხევა სავსებით უნდა იყვეს შექმნა ლაბორატორიის, რომელშიაც ქართველი ახალგაზრდობა დაშლის თეატრის რთულ სხეულს და წვრილმანებშიც შეისწავლის მას. თუ ქართულ თეატრს არ ეყოლა ასეთი კადრი, ისე აღორძინების საკითხი უნდა მოიხსნას სავსებით. წარვიდა ის მშვენიერი დრო როცა გიმნაზიის მეოთხე კლასიდან გამორიცხულ მოწაფეს აქონდა ნება სცენაზე შესვლის და მისი საიდუმლოების „შეცნობის". ქართული დრამატიული სტუდია—არის ფესვი ნედლი და მაგარი ქართული თეატრის. ასეთი სტუდია უკვე არსებობს აკაკი ფალავას ხელმძღვანელობით.

ერთი წელიწადია უკვე რაც სტუდიაში ინტენსიური მუშაობა სწარმოებს, თუმცა მისი არსებობა ფართო საზოგადოებამ დიდ ხანს არც კი იცოდა. ხელმძღვანელის იშვიათ სიყვარულს საქმისას და ორგანიზატორულ უნარს უნდა მიეწეროს სტუდიის არსებულ პირობებში შექმნა.

რამდენადაც ვიცით სტუდიას უშუალო ხელისუფლებიდან ჯერჯერობით არა თუ მატერიალური, მორალური დახმარებაც კი არ მიუღია. დიდი ბრძოლა იყო საჭირო, რომ იგი „რაბისს" არ გამოეგდო სამაცადინო ბინიდან და ქუჩაზე არ დაეტოვებია. აგრეთვე, როგორც გადმოგვცემენ, რთულ ხასიათს იღებს ლატარიის საკითხიც. უკანასკნელი ერთად ერთი წყაროა სტუდიის არსებობის, და ყოვლად დაუშვებელია ეროვნული მოსაზრებით, რომ გამოეცალოს ხელიდან, ამდენი შრომისა და ენერგიის დახარჯვის შემდეგ. მით უმეტეს, რომ სტუდია სახელმწიფოდან არაფერს არ იღებს, და ეს მაშინ, როცა მოსკოვიდან ჩამოსული სტუდია ახერხებს მიიღოს ათეული მილიონები. ჩვენ არაფერი გვაქვს ამის საწინააღმდეგო, მხოლოდ დაუშვებელია რომ ამავე დროს ჩვენი სტუდია ჩრდილ ქვეშ იქნეს ამოფარებული, ის სტუდია, რომელზედაც არის დამოკიდებული ქართული თეატრის მომავალი.

სტუდიის არსებობაში და წინსვლაში უნდა დაინტერესდეს ქართველი საზოგადოების ფართო წრეები, მისი მატერიალური და მორალური თანაგრძნობაა აუცილებელი, რომ სტუდიამ ნაყოფი გამოიღოს. ისე იგი ჩაჰკნება, დაიშლება.

მძიმე პირობებია ფსიქოლოგიურ და მატერიალურ რესურსის მხრივ, მაგრამ ქართული თეატრის სიყვარულმა უნდა გადალახოს ეს პირობები ქართველ საზოგადოებაში.

ძირშივე უნდა იქნეს ჩაკლული აგრეთვე ჩვეულებრივი ქართული ინტრიგა, რომელიც ხშირად არ აძლევს გასაქანს გულწრფელ დასაწყისს. ყველამ უნდა იცოდეს, რომ სტუდიის ხელისშემშლელი, რა ფორმაშიაც არ უნდა გამოისახოს იგი იქნება მოღალატე ქართული საქმის და თეატრის კეთილდღეობის. ასეთი იარლიკს ტარება კი არა მგონია ვისმეს ესიამოვნოს.

საზოგადოების თანაგრძნობით გამთბარი სტუდია ხელმძღვანელთან ერთად ადვილად მიაღწევს მიზანს.

**შალვა აფხაიძე.**

ვარ უსათუოდ ამის მოვალე
ლექსში ვახსენო გიონ საგანელი.
ყველას გადაგვიტანს სიკვდილი მალე
ასე დატრიალდა ბოროტი საქანელა.
მას კიდევ სწამდა მართლა პოეზია.
სიკვდილის წინათაც ის ლექსებს ამბობდა.
ჩვენ უფრო-უარესი დრო მოგვეწია
რადგან ჩვენ თვალწინ ლექსიც კი დაობდა
ვინ იტყვის საგანელით ქვეყანა დაობლდა?
ვინ იტყვის ლექსებზე ის როგორ დაობდა?
უნდოდა ყოფილიყო ყველაზე მეტი.
უთუოდ, ეს ჰინკას იყო მანიფესტი,
უთოუოდ დაფასდება განწირვის ჟესტი.
საწყალი საგანელი... ჰინკა და ელვა
პატარა კუბო... რამხელა დამწყევლა.

**ტიციან ტაბიძე.**

ტფილისი
25 სექტემბერ

# სარო მეტყველი.

მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უსაკოთაც და უსულთ შორის და უცხოველს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათის საუბრის.

შემთხვევითი მონაგარი არ იყო ის ზვარი, ბალავრიანთ სასახლის წინ რომ ჩაჰფენოდა მთის კალთას თანისთან დაშვებულს, უმჩნევლად ჩავაკებულსა; ახლად გაკეთებული მეკომურისაგან არ იყო შეძენილი, რომელს მიწა-წყალი თუ მცენარე არას ეტყოდა, გარდა იმისი, რომ სარჩო იყო წელმაგარი და სამუდამო. მამა-პაპური ქონება იყო ის და ბევრს მოუთხრობდნენ პატრონს ახოვან ხეთა რაზმები, ვენახს რომ სდარაჯობდნენ ოთხსავ მხარეს ჩამწკრივებულნი; ციხე-დარბაზი ზევიდან რომ დაჰყურებდა ედემს სანუგეშოს. ძველი იყო ბალავრიანთ გვარი ისტორიაში ხსენებული, სახსენებელი. უწინდელ დროდან გადმოდიოდა მათი მოდგმა ამ ადგილას, როგორც იქვე მოჩანჩქარე ანკარა ნაკადი, რომლის ტოტი შუაზედ ჩაურბოდა წალკოტს, ხოლო თითონ ის არხებით ორად გაყოფილი გარს უვლიდა მამულს, რომ ბოლოში კვლავ შეერთებულს განევრძო გზა დალემულ მინდვრებსა თუ ჭალებს შუა.

ოჯახმა იცოდა იქ ყველა კუთხის მოთხრობა, დახავსებული ხეების ამბავი, ძველ ნანგრევების თუ ნაშთ-ნასახების აზლაპრებული თქმა. მამულს თავს დასტრიალებდა მრავალი საგვარეულო მოგონება მაფიქრებელ-მაღონებელი, გასაღიმ-გასაცინი, ცნობის მოყვარეობის მწვავედ აღმგზნები და ყველა ერთად მათის წარსულის მაშუქებელი, აწმყოის შემგონებელი, მომავლის ბუნდოვანად მაინც დამკვლევი. კერძო სახეები იყო ახატული, საოჯახო თქმები, მაგრამ შიგა და შიგ ამ ამბებს ფრთები ესხმოდა და მიმოფრენდა მთელს სამშობლოსა. ესეთი იშვიათი შემთხვევა დაკავშირებული არის ადარნასეს ცხოვრებასთანაც. აბა გახედე შემაღლებულ მხარეს ზვარისა.

— სადაც მდინარე სამად იყოფა?

— ჰო! გაავლე თვალი ჩარაზმულ ხეებს

— იქ თითქო კარია დატოვებული.

— ორი ხე აკლია. ანდერძია ამ ოჯახისა: სამუდამოდ ცალიერი უნდა დარჩეს ეგ ადგილი იმ შემთხვევის მოსაგონებლად.

— მითხარი!

— ია!... ხე რომ აღარ არის აქ, არც მისი ნასახი, წინად სარო მდგარა ალვის ხის გვერდზედ. იმის სიცოცხლეს შეჰხორებია სახლის ვაჟკაცის, მის მეუღლის ელვარე ხვედრი ჩაბნელებული. ამ ადგილას უფრო ძნელია დიდი მცენარისათვის თავის სიმტკიცით დაცვა. ნიადაგი ისე ღრმა არ არის, კლდის სარჩული უფრო ახლოა, სინამ სხვაგანა. შეხედე არხიდან, თვალით გაზომე!

— არც ეგრე ახლოა კლდე, სქლად აწყვია მყარ სალზედ ლბილი სრეები თიხისა, ქვიშრობისა, ნოყიერის ზედაპირისა.

— მართალია, მცენარე კარგა ხარობს აქ, მარდად იზრდება, მაგრამ ხის ფესვები ისე ღრმად ვერ მიდიან ნიადაგში, როგორც სხვა ადგილას. აი აქ მდგარა წყვილად სარო და ალვის ხე. გახედე, რა ღალად ასული, უხვ- ტოტყლორტიანი, ხასხას ფოთლით დატვირთული ხეთა რაზმი შემორტყმია ვენახს გარშემო!

— იშვიათია!

— ის ორი ნორჩი ხე ირჩეოდა ყველა იმათში ნაქვთთა ქანდაკებით, ტანის სისწორით, სასიცოცხლო ძალთა სიმრავლით. მეტადრე კვიპაროზი ლაღად აზრდილი. ახლო-ახლო იდგნენ. გიყვარს ფოთოლთა ხმიანობა?

— მუსიკაა დამატკბობელი! მიყვარს ქალაქი, მაგრამ იქ მცენარეთა ხმაურობას მოკლებული ხშირად ვღონდები. ქალაქში ხის ქვეშ!..

— დავსხდეთ!

ლოდზე ჩამოვსხედით. მზე გადახრილიყო. ჩრდილები ჩაშვებულიყვნენ ხევებში, ბუნდოვან ზოლებად ჩასდევდნენ მთასა. ალმაცრად ნასროლ სხივებზე მაღლობები მეტად ბრწყინავდნენ; იქნება მუქად ჩამდევარ ჩრდილებთან დარება ატყუებდა თვალს. ტყეები უფრო მწვანობდნენ მზიან კალთებზედ. დაძრულიყო ნიავი, ხეებს ევლებოდა, დაჰღილინებდა, მოუთხრობდა მთის შემონათვალს. საამოს თუ რასმეს ეტყოდა: სიხარულით ამღერებულიყვნენ ფოთლები, შეწყობილ ხმაზედ ყლორტნი როკავდნენ, დაილურს უვლიდნენ, ეხვეოდნენ ერთმანეთსა, ამოდ ჰკოცნიდნენ.

— ჰგონებთ, არ მესმის, რას ეტყვით ერთურთს? ყველა სიტყვას ვკრებ, მესმის თეით ზგერა თვითეული, ტუჩთ მოძრაობაც მიზიარებს თქვენს გულის ნადებს. მაშ რა გეგონათ?!... იხალისეთ იმხიარულეთ! განა ბევრი გაქვსთ ცხოვრებაში კარგი წამები, ჰაერის თუ მზრდელი მიწის სიკეთით სავსე. მოვა დრო ბნელი და...... ნუ, ნუ შეკრთებით, მშვენიერებო! ვინ იცის ჯერ როდის მოვა ის დრო პირქუფრი.....

ცქრიალ-ტრიალებდნენ ყლორტნი თუ ტოტნი გრილ ნიავზედა, ნაკადი კი მოტრფიალე ნაკადული შურით აღსავსე უიმედოდ ღელავ-შფოთავდა, ხლტებოდა შხეფად, ლამაზ ჭავლებად. ამაოდ! ნიავი რომ ტანთ ევლებოდა მშვენიერ საროს, ყელ-მკერდს ეკროდა, ბაგეს თუ თვალთა დაუკოცნიდა, უფურთვნიდა თმათა ტევრებსა; ნაკადული მხოლოდ ფერხთ ეხვეოდა ლამაზ ქნილებას, ტერფთ უკოცნიდა, თვის სარკე გულში ასახულ ლანდით სურვილს იკლავდა.

— იქნებ არ იცის, არც ჰსურს მიმიხვდეს, რომ ვასაზრდოებ ტურფის არსებას...

— რამ დაგაღონა, კრიალ-ჩხრიალავ!? ეხლავე ვეტყვი! დასძახა მფრინველმა და ფრთა გაავლო ანკარა ნაკადს, დაუკოცნა სახე მჭვირვალე, წავიდა მაღლა საამბობლად, შემოევლო ლამაზ საროსა.

ნუ, გენაცვალე! გულნაზია ჩემი მირან-დუხტ, ნუ გაახსენებ, რომ ვიტანჯები სადღაც მის ტერფთ ქვეშ, სევდიანი ვუალერსებ მარად მის აჩრდილს; არ რა მიუთხრა თვის ყოფნით ჯერეთ მთლად ბედნიერსა, არ გააგონო რომ ვეწამები, რომ ქვეყანა ჰმუნვა-ურვათ სამფლობელოა, იტყოდა ადარნასე.

და მკლავს მოჰხვევდა ლამაზსა საროს, მოეჰდობოდა; რინდებული დასტკბებოდა სატრფოს სიახლით.

თავისი ნორჩი არსებობითაც სტკბებოდა ჭაბუკი, ახლად აღვსებულ თავის სიცოცხლით. მოწიფულიყო ცალის საპოვნად, თვის მეუღლისა, ცხოვრებაში თანამგზავრისა, იმ ცხოვრებაშიც! ჯერ ვერ ეპოვნა ადარნასეს ბედის ვარსკვლავი; მთელი მისი ბუნება კი მიისწრაფოდა მის საძებნელად, მისი სალი ალნაგობა ალაღებული. ხორცთა ძალით სავსე იყო ღონიერი ახალგაზრდა მკვიდრად ნაგები. ვერ იყო უნაკლოდ ნაქანდაკები, ნაქვთჩამოსხმული, მოარული ნაძვის მაგვარი; მაინც დიდად მიმზიდველობდა: მის გატაცებულ თვალებიდან სხივთ ბუნჯგლები ეფინებოდა მისსა მმზერალსა და იზიდავდა უნებლიეთ, შეუგნებელად. ახლად აშლილი წვერ-ულვაში საიმედო, გრძლად ნაყენები ლბილი თმა ოდნავ გრუზული. ლომის ფაფარი გადაეფინებოდა ყავლის მიმცემი ვაჟკაცისა, მისი მშვენება. არ დასჭირდებოდა იგრი-ბატონის ჯადო წყალი თმათ სახშირებლად.

სიკეთით სავსე ახალგაზრდა ბედმოღიმარე! მემკვიდრე იყო ამ მამულის, კარგის ქონების. ჯერ გამოუცდელი მაინც დაკვირვებით განაგებდა თავისსა დოვლათს; ყველგან სწვდებოდა მისი აზრი, მომზომი თვალი, ხელი მოქმედი.

—ბატონო, შენ რომ არ ჩამოგეტანა ჯერი. აბრამა იქ არ იყო? გამოატანდი...

—გამარჯვება თქვენი! აბრამა ვენახში ჩუჩუნებდა და აღარ ვუთხარი; მე გამოვუძეხ ცხენს. მინდოდა კიდევ გამეგონა გუთნური ხმები, ღირღიტას ბანი... გუთნის დედავ, მომეც გუთანი! არ გაიღიმო, თუ მიმტყუნოს ხელმა თუ თვალმა... აბა, ბიჭებო!..

მაღლით წამოვა ღრუბელი, თავთავქვე დაეკიდება;
საკვეთი გასჭრის შავს მიწას, სახნისი მოეკიდება...

—გაიში!

—გაიში!...

ბელტი გადმოვა ბელტზედა, მიწის გულ ამობრუნ,...

—ზედა!

—ზედა!...

—კაცო, ეს ჩვენი ბატონი არა ჰგავს სხვებს: შეძლებული, ნასწავლი და ესეთი თავმდაბალი!

—ტოლად გვექცევა; თითონ მუშაობს. კიდეც რომ ეხერხება გლეხური საქმე! როგორ შნოიანად ეჭირა გუთანი. .

—ისე გაავლო კვლები. არსად ხარვეზი არ დასტოვა.

—ჭკვიანი კაცია; იცის, ჩვენც ადამიანები ვართ და მოყვარულს მეგობრულად მოეპყრობოდა, მოძულეს მტრულად.

თუ ქალბატონიც თავისთანავე კარგი შეჰხვდა...

რაღას ელის ეგ დალოცვილი?! მე ვიცი საქორწილო ხარჯის გაღება გაუძნელდება...

ზარემ თითონაც აღარ უნდოდა ცდა და დაგვიანება, არც ხარჯებისა ეშინო-

## გაზაფხული ქუთაისში.

(ელეგია)

გაზაფხულმა დააპნია ალმასის და ლალის მტვერი,
მიწამ თვალი გაახილა წითელ, ყვითელ შვენდის ფერი...
ქუთაისის ნოხს დასცქერის ბაგრატ მეფის ქვის ოცნება,
დანგრევა და გამარჯვება ლამაზ მოხუცს აგონდება,
და ხავსიან კედლის ჩრდილში ლოცვას ამბობს ქუთათელი...

მწვანე ბაზარს დაუყრია იმერული ჭყლინტი ყველი...
„ბულვარს“ გარშემო უვლიან კეკლუცი და ტოლუმბაში,
და ენგელსის ქალარასა გაოცებით უმზერს ვაშლი...
ქუჩას, კედლებს აგრიალებს ზომის ფეხით ასეული..
ქუთაისო, ქუთაისო! გკოცნის, გკოცნის გაზაფხული...

ქუთაისი
ალდგომა 1922 წ.

ხანდრო ყანჩელი.

## მ ი მ ი ნ ო

გაპობილ ტუჩებში, როგორც ვარსკვლავები
მთვარიან ღამეში, ქინიანი და ხარბი
მოდიან გველები, კლეოპატრის კბილები
შენს ცხელ სუნთქვაში. სამოსელს გაიხდით
შენ და სალომეა შენ ცლვრიე თვალებით
ოქროს ჩანგალზე გული მთხოვე.
როგორც მიმინოს, ციებით, გადარევით
გინდა დაფრენა ჩემს დაჭრილ გულზე..
მაღალმა პალმებმა დაღუნეს თავები
და, ვით ორი აუზი, თვალები ამევსო
ტირილით. მე შენი სასაფლაო
ამოვხაზე მარჯანით და გული იქ მომაქვს,
მზე რომ წითლად ჩადის. შენს დამპალ ლეშზე
ქვიშა და კენჭი შენდობას მავალებს
გაპობილ ტუჩებში მოდიან გველები
და შენ, როგორც მიმინოს, გინდა დაფრენა
ჩემს წითელ გულზე,— მე კი შენს ლეშზე
ქვიშა და კენჭი შენდობას მავალებს.

რაუდ გოგიხია.

# ჰაუპტმანის იუბილე

გერმანიაში დიდი ზეიმით იქნა გადახდილი ჰ. ჰაუპტმანის იუბილე. ჰაუპტმანს ნოემბერში უსრულდება 60 წელი, მაგრამ გერმანელებმა დაასწრეს რამდენიმე თვე, და იუბილე გადახდილ იქნა აგვისტოში, რადგან ზეიმისთვის ეს თვე უფრო მოსახერხებელად იცვნეს. სამი კვირის განმავლობაში ყველა თეატრებში იდგმებოდა ჰაუპტმანის პიესები. ყველა ამ პიესებს ესწრებოდა აუარებელი ხალხი და თითქმის ყველა წარმოდგენაზე იძულებული იყო დასწრებოდა იუბილიარი რომელსაც ყველგან ხვდებოდენ აუწერელი ალტაცებით.

ამ დღისთვის ჰაუპტმანის სამშობლო ბრესლავში ჩამოვიდა კანცლერი ვირტი და წარმოსთქვა სიტყვა, რომელსაც გერმანელები ისტორიულ სიტყვას უწოდებენ.

იუბილეს დღისთვის ჰაუპტმანის პირადმა მეგობარმა და გერმანიის რესპუბლიკის განათლების მინისტრმა კონრად გენიშმა გამოუშვა წიგნი, რომელიც შეიცავს ჰაუპტმანისა აპოლოგიას. გერმანელი მწერლები ჰაუპტმანს ადარებენ გიოტეს, რომელსაც მათი თქმით ჰაუპტმანი სახითაც მიაგავს და უწოდებენ მას გერმანელ ნაციის ბელადს. მის დღესასწაულში ყველა წოდების და კლასის წარმომადგენლები იღებდენ მონაწილეობას. გერმანელი გაზეთები სადაც აწერილი იყოს ჰაუპტმანის იუბილე რედაქციას არ მიუღია რუსული გაზეთები მიკერძოებით სწერენ ჰაუპტმანზე, რადგან მას ბრალს სდებენ, რომ ის ბოლომდე არ იყო პროლეტარიატის კლასიური წარმომადგენელი და „ფეიქრების“ შემდეგ გადაუხვია პირდაპირ ნატურალიზმს და უფრო ,,შებრალურის და შეცოდების“ მქადაგებელი იყო ვინემ სოციალურ რევოლიუციისაო... ამნაირი მისვლა მწერალთან თავის თავად ასახსნელია, რომ უბადრუკობაა, ამიტომ დღესასწაულის ანგარიშს, ჩვენ დავბეჭდავთ მაშინ, როცა გერმანული გაზეთები მოაღწევენ ჩვენამდი:

რომ ამ დღესასწაულს დიდი ეროვნული ზეიმის ხასიათი აქვს იქიდანაც სჩანს, რომ ზოგიერთ წრეებს გადაწყვეტილი აქვთ ჰაუპტმანის კანდიდატურის წამოყენება გერმანიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ადგილზე...

ჩვენ გაზეთში აგრეთვე ამ მოკლე დროში დავბეჭდავთ ჰაუპტმანის ლიტერატურულ დახასიათებას.

# კნუტ ჰამსუნ.

ჰამსუნის ცხოვრების შესახებ სკანდინავულ ლიტერატურაში არაფერი ისმის. თითქმის არა ვინ იცის სად იმყოფება: მისი ჩვეულებაა უკვალოდ გაქრობა.

შორს ჩრდილო ნორვეგიაში, ცისფერ ფიორდებში, სადაც შრიალებენ მკაცრი ნაძვები, იმალებოდა უკანასკნელ ხანამდე ჰამსუნის განმარტოებული ბინა. ძნელია საძებარია ტყიური სახლი ,,ხამარგოი“, კარგა მანძილზე დაშორებული სამგზავრო გზებს. ეს არის სახლი ჰამსუნის. მაგრამ ხშირად ის იკარგება ამ განმარტოებულ საკანიდან მთელი კვირეებით, თვეებით და ველურივით ცხოვრობს მარტო, მაღალს მთებში, ბუნებით და შემოქმედებით.

,,ცივილიზაციის“ ლტოლვილი, პირველქმნილ სტიქიის ფანატიკი, ის ზომა გადაჭარბებით ახორციელებს თავის თავისუფლებას.

შეუჩერებელი სისწრაფით მიექანება იმ ატმოსფერისკენ, რაც ორგანიულად ასე საჭიროა მისი შემოქმედებისთვის. ძნელია წარმოიდგინო ეს ქალაქის მოულე გარეშე მოზუზუნე ქარებისა, ჩაქანგებული კლდეებისა. სევდიანი ზღვის სანაპიროებისა, ათი ათასი ფრინველებით.

აქ ამ განდეგილობაში, შეიქმნა „პანი“—ეს ჰიმნი პირველყოფილობის. აქვე იქმნებოდა ახლა ხანს გამოსული მისი წიგნი რომელიც გაამრავლებს მსოფლიო ლიტერატურის შედევრების რიცხვს „Markens Grade“, რაც ქართულად ნიშნავს „მიწის წიაღს“. ამ წიგნში რომელიც დამთვრალია ჰამსუნისებურ ალტაცებით მოცემულია მხატვრული განადგურება ქალაქის ცივილიზაციისა და არა ჩვეულებრივი ძალით ამღერებულია ყოველი, რაც ამოდის სტიქიურ სიღრმეებიდან.

15 წლის წინედ მისი „ალსავალის კართთან“ მზადდებოდა დასადგმელად ქრისტიანიაში. ერთ ერთ უკანასკნელ რეპეტიციაზე ალმსრულებლები ინტერესით ელოდენ ავტორს და მის რჩევებს.

მაგრამ ავტორი ძალიან ცოტას ლაპარაკობდა. ის გამოვიდა თეატრიდან ახალგაზდა მსახიობ ქალთან, რომელიც ელლინას ასრულებდა.

ავტორი და ელლინაც ამ მომენტიდან გაჰქრენ. ,,ალსავლის კარებთან“ მოიხსნა რეპერტუარიდან.

ახალგაზდა მსახიობი ქალის სახელი იყო—მარია რინდალ. ის მიეცა დავიწყებას და მასზე 15 წლის განმავლობაში არავინ არაფერი იცოდა.

ამ დღეებში გამოვიდა წიგნი, რომელმაც სამი სკანდინაური ქვეყანა აახმაურა. მისი ფურცლები გვაგონებენ 1888 წ. როცა ჟურნალ ,,Nu Jord“-ში დაიბეჭდა ფრაგმენტებათ ჰამსუნის ,,შიმშილი“. მაშინ უცბად გაიგეს, რომ კილანდის დროიდან ჩრდილო ლიტერატურაში არ გამოჩენილა ასეთი ტალანტი.

ახლა კი სულ ახლად გამოსული წიგნის ფურცლებიდან მოჰქრის ასეთივე ჰიპნოზის ძალით სავსე პოეზია. სკანდინაური ლიტერატურა გამდიდრდა ძვირფასი ლირიკოსით, რომელიც ცხოვრობს თავისი ცალკე სამყაროთი. წიგნზე აწერია სახელი მარია ჰამსუნ.

მარია ჰამსუნი—რინდალის ლექსები ჰქმნიან მზიური სიხარულის ცალკე ქვეყანას. და სად?—დედობრიობაში, კერასთან, ბავშური ტიკტიკისა და ბავშური თვალების სამეფოში. ადვილი არ არი შარავანდედით შემოსო, გამოუთქმელი სიმშვენიერით აამაღლო ,,ობივატელური“ მიმდინარე რუხი დღეები და აავსო მარგალიტებით. მაგრამ წარმართული იგი სამაგრით და ძალით სუნთქავენ ახალი პოეტი ქალის სტრიქონები და გახარებენ მიწიურ ცხოვრების სამუდამო სიხარულით.

ეს ლექსებია, სადაც თავისი მრავალ ფერობით ნაპერწკალდება დედის სიხარული, სევდა და თამაში ბავშის სულის, მათი სიცილი ჩამოგორებულ ცრემლებში, იდუმალი გახსნა ნაზი ყვაივლების, ოდნავ რო მოასწრეს ქვეყანის ხილვა, ყოველივე ეს ჰქმნის მთელ სამყაროს, უბრალოს, სადაა ნორჩი შვენიერებით.

მისი ავტორი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ჯანსაღი მზიური სული; ამ გრძნობებმა გააძლეს მარია ჰამსუნის სული.

ახალი პოეტის გამოჩენასთან აიხსნა ფარდა, რომელიც ამდენი ხანი ჰფარავდა ჰამსუნის პირად ცხოვრებას. აი რა ,,პირველყოფილი“ სამყაროთი ყოფილა შემოხვეული ეს ჩრდილო ველური, არა მარტო მთების სიმაღლეებში, არამედ სახლშიც! ეს სამყარო ხომ ისევე სამუდამოა, როგორც ჩრდილო ნაძვებში მოზუზუნე ლაღი ქარები: ეხლა გავიგეთ, რომ ჰამსუნის ,,სახლიც“ სავსეა სტიქიით, რომელიც სცემს ,,მიწის წიაღიდან“.

## პროფ. გ. ჩიბინაშვილის ლექცია

ოთხშაბათს 11 ოქტომბერს საღამო 8 ნახ. ს. პირველ კონსერვატორიის დარ-ბაზში საქართველოს სამხატვრო აკადემიისრექტორი და ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გ. ნ. ჩუბინაშვილი წაიკითხავს საჯარო ლექციას: ,,საქართველოს ძველი ხელოვნება და მისი ადგილი საზოგადო ხელოვნების ისტორიაში,“

მთელი შემოსავალი მიეცემა სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების მეცნიერების კათედრის სტიპენდიანტს საზღვარ გარეთ გასამგზავრებლად.

---

და, მაგრამ რა უნდა ექმნა, როდესაც სათავისო ჯერ არ შეხვედროდა? არა! უკვე შეჰხვედროდა, იცნობდა კიდეც, მაგრამ ვერ მიეგნო მისი სავანე. მისი აჩრდილის ბინა კი, მომავალის თვისის ბედისა, კარგად იცოდა: ეს საღად მოაზრე კაცი ფხიზლად მოქმედი აქ ერთობ გატაცებული მოსჩანდა, თითქო მთვრალი ამ საგანზედ ფიქრით თუ გრძნობით. დაჰკვირვებოდი, ველარ იცნობდი; სხვა ვინმე გეგონებოდა. ისეც კი იცოდა შიგადაშიგ გატაცება, დარდში თუ მხიარულობაში, მაგრამ აქ... ჭეშმარიტად ორი კაცი სცხოვრობდა ადარნასეს არსებაში; სინამდვილის საღად შემგნები, მასთან ანგარიშით შეგუებული და თან ცხოვრებისთვის თვალდამწუხული, მის ვერ მხედველი; მხოლოდ ოცნების, ფრთაგაშლილ გრძნობის თუ სურვილის გატაცებით მიმდევარი..,

—პასუხს არ იძლევა მარინეს შესახებ ჩვენი ადარნასე, ქალი კი ყოველმხრივ მოსაწონია და მოწონებული.

— რაღას ელის და ალოდინებს? ვაჟი იჯდეს, ბერდებოდესო.

— სიბერემდის ჯერ დიდი მანძილი უდევს ახალგაზრდას, მაგრამ ტყუილად არიდებს თვალს

იმ ლამაზ ქალსა. ველაც გულნაზ მირან—დუხტზედ ოცნებობს, მისთვის შემოუხვევია თავის ფიქრები.

— რითა სწუნობს ჩვენს რჩეულ ქალსა?

— სულაც არ სწუნობს! მხოლოდ დაუქნია: ეგ ის არ არის, განგებას რომ ჩემთვის დაუწერიაო; მე ვიცნობ იმას, საროს ტანს რხეულს; ჩვენს კვიპაროზში ჩანერგილაო მისი ალალმა; გული დამიდასტურებს, რა წამს შევხვდები.

გული დასტურს არ ეტყოდა ადარნასეს მარინეს შესახებ, თორემ გონების თვალი წრფელად იტყოდა იმას სამისოდ. გრძნობა არ ეყრდნობოდა ფიქრთაგან მოტანილ ურყევ საბუთებს: ცხად აზრს მძლედ ებრძოდა უშუქო მილტოლვა ბუნდოვანი; მაინც უფრო ძლიერიშეუძლებელი შეიქმნა ბრძოლა ამ შორეული სახის წინაამდეგ მაინც მეტად მახლობელისა, ამ ურკვეველი - ხატების წინ მეტად გარკვეულისა: გრძნობათა შესაკრებელს მხოლოდ ის მიაჩნდა სატკბოდ, ნებისყოფა მარტო იმას ჰხადოდა მოქმედების საფერად. განცვიფრებით დაჰყუღებდა ჰაზრი ჯიუტად უარმყოფელ თვის განუყრელ თანამოქმედთ, გრძნობას და ნებას. ის სურათი ხატება მშვენიერი, ჯერ ცნობიერების სინათლეზედ გამოუსვლელი, საიდუმლო ღიმილით უმზერდა მურაზით აზვირთებულ ჭაბუკს და იზიდავდა უძლეველის ძალით თავისაკენ მიასწრაფებდა. საროს ალნაგობიდან უღიმოდა ჭაბუკს ის სახე ბურუსით მოცული; იმისი ხმა ესმოდა მის ფოთოლთა უხმო შრიალში, იმის მიმოსვლასა ჰხედავდა მის ტოტ—ყლორტთა ნძრევა-რხევაში, ლიტაო ტანის მიმორყევაში; მისი სუნთქვა თუ სულთქმა მოესმოდა ამ უსაკოს ფშვენვა-გმინვაში, და იბრძოდა ვაჟკაცის სული, ნათლად შეეგნო იგი ხატება, მკაფიოდ ეგრძნო მისი არსება, სამოქმედოდ აეხსნა მის სურვილები.

— უცნაური ზნე დასჩემდა ადარნასეს ამ ბოლოს დროსა: მუშაობის დროს მშრომელი მოსაწონი, მოფიქრების ჟამს მკვეთრი ჰაზრის გამომღებელი, საუბრის ხანს დარბაისლად მთქმელი—მეტყველი, სადარბაზოდ დინჯად მქცევი, მოზომილად მიმომავალი, ლხინ-ზეიმში ეშხით სავსე სასიამოდ გატაცებული; მარტო რომ რჩება საკვირველობს ჰკვათამყოფელი: უსაგნოდ იღიმება თუ იქუშება, ხელებს აყოლებს, სახეს აცეკვებს, ხმაახიდვით თავს მიეტყვის, ებაასება; კვიპაროზთან მთლადაც ხელობს: ეხვევა, ჰკოცნის, ეხმატკბილება; ხან სიცილი, ჟამს ტირილი იმ უსულოსთან...

— საფიქრო არის, მაგრამ... დრო დაწყვილების. უსახო სახეც სახიერად მოგეჩვენება, უსულო ცოცხლად, უტყვი მეტყველად. შესტრფი ვარსკვლავებს. ტოტთ ათამაშებ ფოთოლთ მოთქმაზედ. ყვავილობის დრო ხშირებული. ხესაც თუ ალხობს მის გულის სითბო.

— საროს ქვეშ შეუძლიან მთელი საათობით იჯდეს გარინდებული.

— იცის: შეეჩვევა ადამიანი ადგილს, მდინარეს, ხესა თუ ქვასა და უხარიან იქ დროს რონინი. რაუშავს? თუ სულდგმულს შეაწყობს ადამიანი გულს, მცენარე რაღა არის, თუნდა ყველა ქმნილებაც უსაკო? იქნება მხოლოდ ჩვენს შეზღუდეულ გონსა ჰგონია ისინი სიცოხლის ძალთაგან უარყოფილნი. ისიამოვნოს! ერთს გეტყვით.

— რასა?

— ის დაეძებს თვის ბედის სახეს, ახალის სულის. მიუკვლევია იმის ლანდისთვის. საროს ნაკვთში თუ დაივანა იმის არსებამ.

— შესაძლო არის?!

— რატომ? ზღაპრების ჟამია ეს ჭაბუკისთვის, ცხად არაკების. სავნებელი არ იქნება ეს მისი ქცევა: ჩვენებათა სამყოფელოდან სითბოს მოიტანს იმის სული სინამდვილეში, ის არე ფარგლით მორკალავს მის პიროვნების კუთხეებს, გაანედლებს მის განხმელ ნაკვეთებს, რომ მოქნას ცხოვრებაში იმისი სვლა და შეალბილოს: აღარ დასძეწკავს ყოფის გზაზედ დიდსა, პატარას·

—მაინც არ შეშვენის ჰკვათამყოფელს ესეთ სინაზით აეთვისოს რაღაც მცენარეს, ესეთ შეფრფინვით. ადამიანისაგან სიყვარული შეჰფერის მხოლოდ ცნობიერებას მთლად გაღვიძებულს: მარტო იმას შეუძლიან შეგნებულად გრძნობის ზიარი, შეცნობილი სიყვარული ჟამთადენის ჩამდევარი, უსრულებული.

—აკი განიშნე, რომ სულდგმული არის იმისათვის ის კვიპაროზი, მისი იღბალი იმ საროში მოთავსებულა, მის ახალ სულის სიცოცხლის ქსელი ჩაბეჰქდილა იმ მცენარეში:

—ვერ შემიგვნია.

—...... იყო კოლოფი იავუნდისა და იმ კოლოფში ჩაკეტილი იყო იმისი სული და ის საუნჯე ზღვის თევზის თავში ჰქონდა მეცანს შენახული......იყო სარო ტანად კენარი და იმ კვიპაროზს შეერთებოდა ადარნასეს ბედის ხატება აუსახელი იქ მოთავსებულიყო, იმის აჩრდილი ნივთიერი და იმ საროს ნაქვთებიდან ეტყოდა ჭაბუკს მის ყისმათზედ გაჩენილი მზეთუნახავი.... .

— მაშ ხეს რომ ეხვევა განცხადებით, თვის სატრფოს ელერსება იდუმალ, უსიტყვო საროსთან სმენად გარდაქმნილი სატრფოს ხმათა მუსიკობით მოხიბლულია?!

— ნამდვილ! სარო ჯერ მხოლოდ ანიშნებდა ადარნასეს ბედის ვარსკვლავის დავანებას მის არსებაში; შემდეგ აჩრდილმა ცხადი სახე მიიღო მისთვის; ამეტყველდა იგი ლანდი უკვე ხორცსხმული და..... დარწმუნდა ჭაბუკი, რომ მისი მნათობი უკვე მიეახლა მის სამკვიდრებელს და ჩაეშუქა ლამაზ საროსა. კვიპაროზი ეხლა აღარ იყო ადარნასესთვის მხოლო მანიშნებელი სულის სწორისა, ის უკვე ორება იყო მისი, სხვისთვის უჩინევი, იმისთვის ცხადი. ეტყოდა სარო:

— ჰპოვებ შენს იღბალს, რომელს გიხატავს ოცნება შენი; კიდეცა ჰპოვე!

— მამცნე, მაჩვენე იმ ტურფის სახე!

— მოგწონს ჩემი ტანადობა, ჩემი იერი?

— მშვენიერებავ...

— ესეთი არის შენი ბედი, სული ახალი!

— გატკბობს ჩემი ცხოვრების ძალა, უხვად რომა სჩქეფს ჩემს არსებაში?

— ვგრძნობ, ვხედავ, ვნატრი შენს სიცოცხლის ნიჰს.

— ესევ სავსეა ის ლამაზი ცხოვრების ძალით!

— მაშ.....

— ბუნდადა ჰხედავ ჩემს არსებაში დავანებულს, ჩემში ჩაქსოვილს; ჰნახავ გარკვევით!

— მაშ შევიქმნები კაცთა შორის მე ბედნიერი!...

— შენ განიცდი მცხინვარებას მზიურ ბედისას! მაგრამ ჩემი არსება, მისიც არსე..

— მწარეს რასმ მეტყვი: ამოიკვნესე..

— მის არსება ჩემს ყოფასთან შედუღებული...

— ვაჰ, ნეტარებავ! ისიც შენსავით იდღეგრძელებს ჩემდა სალხე...

— დიდს სიხარულს დარდი დიდი ასდევნებია: მოულოდნელად მოვისპ...

გაუმართლდა ადარნასეს საროს სიტყვები: ჰპოვა თავის თანამგზავრი ბედის ნაწერი, უძლეველად მიმზიდველი ნათელის შვილი. რა კარგი იყო!... უსასტიკესი სულიერი გაწამება მის ძიებაში. იმის გულის მოპოება... რა სიხარული, ჰე ნეტარება!... კვიპაროზთა მოსასპობლად ბნელთა ძალა მძაფრ ქარიშხალად... ქუფრმა დაჰფარა ნათელთა სხივი... გამეფდა ბნელი...

— მიამბე ყველა!

— როდისმე, კარგო: ღელვამ დამქანცა.

ვასილ ბარნოვი.

# ქართველი პოეტი ქალები

აქა მანანას და ციებასი გაბაასება ჩხუბი.

თქვენი მტერი და ორგული ციებამ დამალონაო
დამადნო სანთელივითა გამხადა დრამის წონაო
მე ამას ვერ გადურჩები თუ კიდევ მომიგონაო
ამ წყეულს რაშეუყვარდი, ჩემში რა მოეწონაო.

ციება ეუბნევა

თუ მოგიბრუნდი მანანა́ვ ჩაგაგდებინებ ხმასაო
სულ დაგავიწყებ ლექსებსა მაგ შაირების თქმასაო
ასე გაგიხდი საქმესა სიკვდილს აძლევდი თავსაო
და სულ ოხრად დაგინარჩუნებ შენს ჯარსა და ტარსაო.

მანანა ეუბნება

რაღას მაწყალებ შიშითა თვალები გამოქხეთქია
ამის უარეს რას მიზამ შვილი არ შემრჩა ერია
რომელმაც იმ დღეს გამკურნა კიდევ მაქვს ერთი წვეთია
და შენ ველარას დამაკლებ თუ ჩემი შემწე ღმერთია.

ციება ეუბნება

რაზედა მლანძლავ მანანავმე მომეკიდე შვილათა
ხანდისხან გაგაციებდი ხან გამყოფებდი თბილათა
პირ ძრიელ არ გაგიმწარებდი წყალ არ გასმევდი ტკბილათა
და კიდევაც არ დაგივიწყებ ხანდიხან გნახავ ხილათა.

მანანა ეუბნება.

რათ მინდა მე შენი ნახვა ყველანი შენგან ჩივიან
ვისაც რომ ტანში შენ შეხვალ კანკალებენ და კივიან
აჩანჩხარებენ კბილებსა წელი უწყალოთ სტკივიან
და რაკი სიცხეში ჩააგდებ მდუღარე ცრემლი სცვივიან.

ციება ეუბნება

მანანავ გული საკლავი სიტყვა გამოგდის ავია
ახლა რომ მე შენ წაგჭყლიტო ჩემი ნუღარა ბრალია
დაგიდო თავით სუდარა შენ ხარ ოხერი მკვდარია
და საწყალო რის იმედი გაქვს ვინა გყავს მოტირალია.

მანანა ეუბნება

რა გინდა ციებ ცხელებავ რა ჩემზე მოიცალეო
შენ აგრე არ მიბრიყვებდი თუ ვყოფილიყავ ქალიო
კიდევაც ვერას დამაკლებ თუ შემწევს ქრისტეს ძალმ[illegible]
და ასე მსჩას შენი ლაყაფი ვით ძაღლის მყეფარე ხალიო

ციება ეუბნება

ახლა მიყურე მანანავ რადგან რომ გამაჯავროე
დაგწვავ დაგდაგავ სიცხითა სიცოხლეს დაგამწარებო
გადაგასვენებ საკვდავათ მღვდელს შენზედ გავახარებთ
და აღარ გამყოფებ სულდგმულსა შავ მიწას მიგაბარებო.

მანანა ეუბნება

ციებ ცხელება შენ ჩემზედ რაზე აიღე შურია
ნეტავი შემატყობინა თათარი ხარ თუ ურია
მე ასე შეგყვარებივარ როგორც რომ ძაღლი მურია
და ახლა ვაგლახ თუ მამკლავმ რა დამრჩა სანანურია.

ციებამ უთხრა

საუკუნეთ ხომ დაკარგე მანანავ ჩემი თავიო
ღირსად სამართლად მოგეგოს რაც, დღე მიჩვენე ავიო
რა უნდა გაქო მე შენა სიტყვა გამოგდის ავიო
და თვალ ტანად არა ვარგიხარ ხარ ცუდი სანახავიო.

მანანა ეუბნება

თვალით ნუ დამენახვები შენა ქვეყნის სასაცილო
დამცალე ღონისაგან ჰა შენ იუდას შვილო
შენ წამაყენე საკვდავათ თავით დამიდევ ტილო
და როგორღა მეჩხუბები შენ მყრალო დგა და ლეტილო.

ციება ეუბნება.

გაგშორებივარ მანანავ როგორც რომ გაღმა დიცია.
რაც შენ მლანძღამ და მაგინებ სულ თავში ლოდი მიცია
შენს ახლო აღარ გავივლი აღთქმა დავდევ და ფიცია
და შენ ხომ არ მოგიპატიებ შენი ამბავი ვიცია

მანანა ეუბნება

ცეცხლი მოგედოს ციებავ რა შენ მე შემეყარეო
შვიდი თვე მაცივ მაცხელე ჩემი დღე დამამწარეო
პატარა სული მოვიდგი რა შენ მე გაგეყარეო
და ვინც შენ მოგიპატიოს ვაგლახი მივაყარეო,

# ია კარგარეთელი

**35 წ. მუშაობის გამო**

ახლო მომავალში თბილისში განზრახულია ოცდახუთმეტი წლის იუბილე ჩვენი მუსიკოსის ია კარგარეთელის. ია ცნობილია, როგორც მუსიკოსი, ავტორი მრავალი რომანსების, ავტორი მრავალი გამოკვლევის ქართული მუსიკისათვის, ია ლოტბარი და ბოლოს მკვლევარი ჩვენი ზეპირ სიტყვაობის. (მის მიერ შეკრეფილი ზეპირსიტყვაობის მასალები ხუთი ტომი გამოვა). ია კარგარეთელი მეოთხმოცე წლებიდან თანამშრომლობდა ქართულ რუსულ პრესსაში და ერთი გაზეთის რედაქტორობისთვის 1906 წ. ხულიგნნებმა გაიყვანეს ღამით ქალაქს გარედ, სცემეს და რევოლვერიც ესროლეს. ია კარგარეთელი 1886 წ. გამოვიდა ასპარეზზე ცნობილის ლადო აღნიაშვილის გუნდში. ამ გუნდიდან იწყება მისი მუსიკალური მოღვაწეობა. 1889 წ. ის გაემართა მოსკოვში მუსიკის შესასწავლად; მუსიკას სწავლობდა ფილარმონიული საზოგადოების უმაღლეს სამუსიკო სასწავლებელში. მანვე მოსკოვში რუსეთის კომპოზიტორებისა, მეცნიერებისა და პროფესორების შორის წაიკითხა მოხსენება „ქართული ხალხური მუსიკა". აქვე მოაწყო რამდენჯერმე საეთნოგრაფიო კონცერტები 1889 წ. გამოდის მისი ნაშრომები ქართულ მუსიკაზე.

იას ეკუთვნის აგრეთვე გამოკვლევა „ძირითადი კავშირი მუსიკისა და ცხოვრების შორის". უკანასკნელ ხანებში მან შეადგინა დიდი ნაშრომი „ქართული მუსიკის ისტორია" რომელიც მიღებულია დასაბეჭდათ. მან შეადგინა სახალხო სკოლებისთვის სიმღერა—მუსიკის სახელმძღვანელო, რომელიც უმაღლეს სახელოვნო კომიტეტის მიერ იქნა მოწონებული და დაჯილდოებული.

რაც შეეხება ქართულ ზეპირსიტყვაობაში მუშაობას, ეს ღირსეულად დააფასა ჯერ კიდევ ალ. ხახანაშვილმა, რომელიც ამბობდა თავის გამოკვლევებში რომ ია კარგარეთელმა ქართული ზეპირსიტყვაობის საკითხი წამოაყენა, მთელი სიგრძე-სიგანითო.

იმედია, ჩვენი საზოგადოება ღირსეულად დააფასებს ია კარგარეთელის ჩუმს 35 წლის მუშაობას.

# მოგონებები და დოკუმენტები

**აქსენტი ცაგარელი**

(1902—1922)

ასიკო ცაგარელი დიღმელი მღვდლის ანტონ ცაგარელის შვილი იყო. ანტონ მღვდელს ოთხი ვაჟი ჰყვანდა, ერთმანეთზე ლამაზები და ნიჭიერები. ამ ოჯახიდან არის პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი, უფროსი ძმა ასიკოსი, ჩვენი დრამატურგი, და ქართველ არტისტად ნამყოფი ივანე, მეოთხე ძმა ვლადიმერი, დიდად ნიჭიერი, გადაიცვალა სემენარიაში კურსის დამთავრებისას ხოლერით.

ასიკო სწავლობდა თბილისის სასულიერო სასწავლებელში; მეტად ცელქი და მოუსვენარი ყოფილა; მასწავლებლებს მისგან თავი მობეზრებული თურმე ჰქონდათ, ერთხელ ერთ სიცელქის გამო ყურ აწეული გამოიყვანა ჩვენი ასიკო მასწავლებელმა და გარედ გაუძახა.

ასიკოს ბუნება ვერ შეეთვისა ძველი რეჟიმის სწავლას, გამოვიდა და შეუდგა ქართულ და რუსულ ლიტერატურის შესწავლას. შევიდა ქართულს დასში, და კინტო ბიჭების როლებსა სრულებ. კოხტად და მოხდენილად თამაშობდა კინტოურ-ბაღდადურსა. მისი პირველი ნაწარმოებია „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ". ამ პიესამ ახალი სიო შეიტანა ქართულ ორიგინალურ დრამატიულ მწერლობაში; საზოგადოდ ასიკოს პიესები ეფექტიანებია, ამიტომ ხშირად იდგმოდა ქართულ სცენაზე. ამას მოჰყვა „ხანუმა". ასიკო სწერდა პიესებს მაშინდელი არტისტებისათვის: ვასო აბაშიძე, ნატო გაბუნია, მაკო საფაროვ სა იყვნენ მისი პიესების დამამშვენებლები.

ახალი დასი, სადაც ასიკოც იყო, ხშირად გამოდიოდა პროვინციაში სათამაშოდ, უფრო ხშირი სტუმარი იყო გორის. პირველ მისვლაზე გორში ითამაშეს „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ" მაშინ ვასო აბაშიძეს სწვავდა მაკო საფაროვის სილამაზე, ასიკოს ნატო გაბუნიასი, ხშირად ერთმანეთს შემოსწყრებოდნენ და სცენაზე აღარ გამოდიოდნენ. მახსოვს კარგად, კულისების უკან ასიკო და ნატო შელაპარაკდნენ, უნდა ფარდა აიხადოს, კინტოების გამოსვლა და სოფლის გოგოების სურათია, აიხადა ფარდა, ნატო არ სჩანს, კინტოებს არც ასიკო გამოჰყვა, ავარდა ნიკო დიასამიძე და როგორც იყო გამორეკა სცენაზე.—

ასიკომ ყველა არტისტებს მოგონილი სახელები დაარქვა, თავის ცოლს ნატოს ხანუმას ეძახდა, ვასოს არუთინას, გუნიას მუნიას და სხვ. მოსწრებული სიტყვის კაცი იყო, ოხუნჯი. მაგრამ ქეიფს მისდევდა, ლოთობა დაიწყო, ერთი ჰიქა სასმელი ათრობდა, და იმის ოხუნჯობას საზღვარი არა ჰქონდა. ბავშვები ძალიან უყვარდა. საცა ოჯახში შევიდოდა, ბავშვები უთუოდ შეჩოეხვეოდნენ, ჩადგებოდა იმათში და მოჰყვებოდა იმასთან თამაშობას, ბავშვებს „ბურებს" ეძახდა (მაშინ ბურების ომი იყო) და აომებდა ერთმანეთსა.

ბოლოს ლოთობამ რომ დასძლია, ჩამოხმა, სმის დროს ერთს ლუკმა პურს არ შეჭამდა. ამხანაგები ქაან დააფიქრა მისმა მეგობრობამ, ჩააბეს საქმეში, იქნება გაერთოს და სმას თავი დაანებოსო. გ. ლასხიშვილმა „ცნობის ფურცელში" მისცა სამუშაო. ამ დროს ის ცოტა შესდგა, სმას უკლო, მაგრამ თუ მოახელებდა, ჩუმათ გადაჰკრამდა ხოლმე.

ასიკო სმას მაინც ვერ ჩამოვაშორეთ 1902 წელს მარიობისთვის II-ს შემატყობინეს, რომ ნატო შინ არ არის, ასიკო ავად არის და მოჰხედეო. მაშინ ის ავჭალის ქუჩის დასაწყისში იდგა, მე ძალიან ახლოს ვიდექი. მარნეს გავქანდი ასიკოს დამართნოდა საშინელი ხურვება (белчя горячка) ბოდავდა ვილაცას ელაპარაკებოდა. იამა ჩემი ნახვა. მაშინვე მოვიწვიეთ ექიმი ექვთიმე ვაშაკიძე. უიმედობა მითხრა, ნატო პროვინციაში იყო წასული. დეპეშები დავკარით გორსა და სურამში ჩამოსულიყო. მე ასიკო გულზე მოვისვენე; ჰირის ოფლი ღვარად სდიოდა. ოხუნჯობას მაინც არ იშლიდა, რატომ შენი „ბურები" არ მომგვარეო, მითხრა შვილებზე, ერთი კიდევ მათთან დავპროწიალებულვიყავ..—ოჰ, ხანუმავ! სადა ხარ!?

ამოხვნეშით სთქვა.

მე ვანუგეშებდი და ცივს რძეს ვას მევდი, კუჭი ჰქონდა შეკრული. იბორგა

# დისპუტი თეატრზე

სექტემბრის 25 სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში გრიგოლ რობაქიძემ წაიკითხა საყურადღებო მოხსენება: ,,თეატრი როგორც რიტმი" მოგვყავს მოხსენების შინაარსი შემოკლებით თეზისების სახით. ,,არის თეატრი სრულიად დამოუკიდებელი ხელოვნება, თუ იგი წარმოებითი ხელოვნებაა მხოლოდ? ეს საკითხი ძველია თავის თავად, მაგრამ ჩემი მოხსენებისთვის საკუთარი პოზიციის არჩევაა აუცილებელი. ამბობენ თითქოს თეატრი არის კრებული ცალკე ხელოვნებათა (სცენას) არქიტექტურა და სკულპტურა), დეკორაცია (მხატვრობა), ხმიერი ხაზები (მუსიკა) აქტიორის სიტყვა (პოემა), ყოველი მათგანი განსახიერებაა ხელოვნების რომელიმე დარგის. თეატრი არ არის ცალკე ხელოვნება იგი თავისი ბუნებით წარმოებითია. ასეთია ერთი დებულება. ეს შეცდომაა, თეატრი უთუოდ დამოუკიდებელი ხელოვნებაა, მაგიური ხელოვნება. სხვა ხელოვნებათა ყოველი ელემენტი მისთვის მასალაა მხოლოდ. ისევე როგორც მხატვრობაში საღებავი არის მასალა თეატრში თვით მხატვრობა მხოლოდ მასალას წარმოადგენს.

პოეტის სიტყვა, რომელიც თავის თავად ნედლი მასალის სახეს ატარებს, სცენაზე წარმოთქმისას უკვე ახალი შემოქმედების ფორმას იღებს. იგი (სიტყვა) სრულიად ავტონომიურია. მაგრამ სცენაზე იგი უნდა გახდეს თანახმიერი სხვა ხელოვნების სხვა ელემენტებთან. ამ თანახმიერ ცემაში არის რიტმი. ამ რიტმში არის თეატრის არსებითი მხარე. დასკვნა: თეატრი არ არის წარმოებითი ხელოვნება. იგი დამოუკიდებელი ხელოვნებაა, მხოლოდ არაწმინდა, ისე როგორც მუსიკა, პოეზია და სხვა. იგი მაგიური შემოქმედებაა.

რა არის საჯანი თეატრალურ განსახიერების? მიღებულია თითქოს თეატრი იყოს განსახიერება „მოქმედების", „მოძრაობის", და ასეთი გაგება გამოყავთ თვით დრამის მცნებისაგან. თითქოს დრამა ნიშნავდენ „მოძრაობას", მოქმედებას. ნიცშეს ფილოლოგიურმა გამოკვლევებმა უკანასკნელად ცხად ყვეს, რომ დრამა, ბერძნული სიტყვა (დორიული) ნიშნავს არა მოქმედებას, არამედ „ამბავს" სიტყვის ასეთი განმარტებით ძირეულად იცვლება თეატრის შინაარსიც. ძირი თეატრის არის არა მოქმედება არამედ „ამბავი". მშვენივრად გამოხატავს თეატრის შინაარს რუსული სიტყვა событие, со-бытие. ამ სიტყვაში საუცხოვოდ არის ასახული არსებითი მხარე და ძარღვი თეატრის: თეატრი არის კრებითი მოქმედება. დაკრძალვის პროცესია, ალავერდობა, ცეცხლის მქრობელთა რაზმი, სადაც გამოდის მთელი მასსა. ასეთ მოვლენაში არის ჩანასახი თეატრალურ მოქმედების.

ისმის საკითხი ყოველი კრებითი ამბავში არის თეატრი მოცემული პოტენციით? კრებითი ამბავი განცდილი ესთეტიურად არის მხოლოდ თეატრი. რას ნიშნავს რაიმეს ესთეტიურად განცდა? პასუხი ერთია: რომელიმე საგნის განცდა ისე როგორც „მშვენიერების" თავის თავად არის განცდა ესთეტიური. საკითხს ნათელს მოფენს უფრო მითიურ დიოტიმის სიტყვები წარმოთქმული პლატონის დიალოგებში: „სიყვარული არის შვება მშვენიერებაში როგორც ხორცით ისე სულით" ეს არის ეროსი ნივთისადმი. ეს არის სწრაფვა თავის თავს ნივთში „გაჩენისა" და ამ რიგად საკუთარ თავის ხილვისა, მოფარგვლის. თუ არ არას ეროსი ნივთისადმი ისე არ არას წვა, არ არის შემოქმედება ვინაიდან რაიმეს როგორც მშვენიერების განცდა ნიშნავს: განიცადო რაიმე ისე, რომ დაცალო მასში შენი თავი, ესე იგი შექმნა თავი საკუთარი, შექმნა ამ „სხვაში". მაგრამ ეს შემოქმედება არ დადის ბოლომდე. და ამ მხრივ ცნობილმა დეოდორე ლიპსმა ძველ ფორმულას. დიოტიმის მიერ წარმოთქმულს მისცა საბოლოო განმარტება და გაშლა. ამ მხრივ საყურადღებოა მისი სწავლა „sintull-ung"-ის შესახებ. დასკვნა ასეთია: კრებითი ამბავის ასეთი ათვისების აქტში მომწყვდეული არის თეატრალური განსახიერება.

ზემოთმოყვანილი თეზისი მტკიცდება ისტორიულადაც. მისტერიები, კულტი დიონისის უკანასკნელი არის გამოსვლა თავისთავიდან და მისი მეორე საგანში გახსნა. დარღვევა საკუთარ თავის და სხვად ქცევა. აქედან მოდიან ვაქხანკები, სიბილები, მენადები და სხ. უხილავი დიონისი ნიღაბ ქვეშ ქცეული სხვად. დიონისი, რომელმაც გადალახა პიროვნული ზღუდე და ,,სხვაში" ნახა თავი თვისი. აქ არის მოცემული მთელი თეატრი; კრებითი მოვლენა. კიდევ საკითხი: რა არის კრებითი ამბავის ელემენტები? შეიძლება მათი ჩამოთვლა. 1. სიუჟეტი (დრამატურგის სიტყვა) 2) მოქმედების ადგილი (არქიტექტურა და მხატვრობა) 3) ხმიერი ხაზები (მუსიკა). 4) პლასტიური სახე (აქტიორი). 5) შემოქმედებითი სინტეზი (რეჟისორი). საჭიროა ყოველ მათგანის გაშლა. სიუჟეტი დრამა. შეუძლებელია მიღება დღევანდელი დრამის, მისი სახის. რიტმი თანამედროვე ცხოვრების ძირიანად უარყოფს პრინცის, რომელზედაც არის აგებული დრამა. თუ ოდნავ შესაძლებელია მიღება შექსპირის დღევანდელ სცენაზე, ყოვლად მიუღებელია მოლიერი. მიზეზი ერთია: მოლიერის დრამა'ში არ არის განვითარება, თანდათანობითი სვლა, არ არის დინამიკა. როდესაც სცენაზე გამოდის ტიპი ძუნწის, თქვენ უკვე იცით რომ იგი ძუნწია და სხვა არაფელი. უკვე პირველ გამოსვლაში არის მოცემული მთელი სახე და შემდეგ ხდება მისი სხვა ვარიაციებში გამომჟღავნება მხოლოდ. აქ აღარ რჩება ადგილი შორ გზას დრამის განვითარებაში. სხვა არის შექსპირის დრამა. გამოდის ოტელო. თქვენ არ იცით ვინ არის იგი.

მხოლოდ დრამის მიმდინარეობაში ხდება ნათელი მისი სახე, აქ იფარგლება მისი ეჭვიანობა და ეს ეჭვიც შლის ნაპირებს შემდეგში. აქ უკვე არის დინამიკა. ამიტომ უთოუოდ თანამედროვე თეატრისთვის უფრო მისაღებია შექსპირი ვიდრე მოლიერი. მაგრამ პრინციპი ახალი დრამის აგებულობის სრულიად აღარ შეეფერება ძველს, ახალ დრამაში შეუძლებელია ბოლომდე მოხაზული პიროვნებანი, მათი საზღვრებში მოქცევა, აქ პიროვნებას აღარც აქვს ის ადგილი, რომელიც მას ოდესღაც ეკავა. ახალ დრამაში მთავარი პერსონაჟი მასსაა. პიროვნება გამოდის ლანდივით და ჰქრება ისევ. მისი სახე იმალება ჩრდილებში. ჩნდება და იმალება ისევ მასსის ფონზე. პრინციპი დრამის აგებულების უნდა იყვეს უთუოდ სიმფონიური. მისი მიზანია: გახსნა მთელის მრავლადობის ფარგლებში. დრამა ვითარდება სპირალის გზით. არის ხლართი მრავალ ხაზების მათი დაშლა ისევ გაფრენა და შესვენება გზაში ასევ შეხვედრა დაშორებული ხაზების და ბოლოს გადავარდნა ერთ რკალში და აქ დახვევა. სხვა გზებით მომავალი ხაზები უკანასკნელად ერთდებიან ერთ წერტილში, იშლებიან ისევ და ასე ბოლომდის. ეს არის პრინციპი დრამის ორკესტროვკის. ვინაიდან აქ მთავარია პრინციპი კონტრაპუნქტის. დიალოგში ყოველი პიროვნება „ლირიკია" თავისთავად. ხშირად კი ხორალებსაც აქვს ადგილი. დასკვნა: დრამა ორკესტრი.

ა რ ქ ი ტ ე ქ ტ უ რ ა და მ ხ ა ტ ვ რ ო ბ ა მოვლენა მთლიანად უნდა აითვისებოდეს და არა ატომისტურად. იგი უნდა მიმდინარეობდეს გარკვეულ ხაზებში და ასეთივე ფერებში უთუოდ. ხედვითი შთაბეჭდილება უნდა იყვეს გამოძახილი ხმიერი ათვისების. ორი ხაზი უნდა ერთდებოდეს ერთ წერტილში. მხოლოდ ამ შემთხვევაში არის შესაძლებელი მოვლენის მთლიანად ათვისების. ამიტომ პრინციპი არქიტექტურის და მხატვრობის თანამედროვე სცენაზე არ შეიძლება იყოს დეკორატიული. აქ სხვა პრინციპის მომარჯვებაა არის საჭირო, ცხოვრების რიტმისაგან გამომდინარე პრინციპის ხაზები სადა სწორი, და ეკონო-

დილიდან მოკიდებულ ორ საათამდე აქეთ-იქით მიწყვეტბოდა. შუადღის სამი საათი იქნებოდა, რომ ჩემს მკლავზე განუტევა ასიკომ სული.

საღამოს ნატოც მივიდა; გარდაიცვალა მარიობისთვის 12-ს 1992 წ. ერთი კვირა გვესვენა ყინულში, ვიდრე პროვინცია გაიგებდა, არ დავკრძალეთ.

მაშინდელ დრამატიული კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ქართველიშვილი ინიციატივით იყიდეს მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეთათვის კუკიის სასაფლაოზე სასაფლაო, სადაც დაკრძალეს ასიკო ცაგარელი. ამ სასაფლაოზე განისვენებენ: ნატო გაბუნია-ცაგარელის, შიო ჩიტაძე, ვლადიმერ ლორთქიფანიძე·

**სოფრომ მგალობლიშვილი.**

# ქრონიკა

**გიორგი ლეონიძემ** დაასრულა თავისი თარგმანები: „ტურანდოტ ჩინელი პრინცესა“ და „განთავისუფლება“ პიესა ვილიედე ლილ—ადანის

**ლატავრა**

მიმდინარე სეზონში რეჟისორი ალ. ახმეტელი სდგამს სანდრო შანშიაშვილის ახალ დრამას „ლატვრა“

**სანდრო შანშიაშვილი**

პოეტი სანდრო შანშიაშვილი, რომელიც ამ ჟამად ცხოვრობს ქიაურის წისქვილებში, ამზადებს დასაბეჭდათ ახალ პიესას თანამედროვე ცხოვრებიდან.

**კ. ჭიჭინაძემ**

სთარგმნა კნუტ ჰამსუნის პიესა „ალსავლის კარებთან“.

**ექს-კაიზერის დაქორწინება.**

ბერლინიდან იტყობინებიან ექსკაიზერმა შეატყობია თავის დაახლოვებულ ხალხს დოირნში რომ მალე უნდა მოხდეს მისი დაქორწინება. ვილჰელმის შვილები უკვე შეურიგდენ მამის ქორწილებას. მისი შვილი ავგუსტ-ვილჰელმი დაბრუნდა ბერლინიდან და ჩამოიტანა საჭირო ქაღალდები.

**ა. ამფიტიატროვი და ფაშისტები.**

რუსეთის ცნობილი ჟურნალისტი ა. ამფიტიატროვი იტალიურ გაზეთებში აცხადებს, რომ ის ემხრობა ფაშისტებს, რომ მისი შვილი მონაწილეობას იღებს აქტიურად ფაშისტების ყველა გამოსვლებში.

ნეაპოლის გაზეთ „მატინოში“ დაბეჭდილია ცნობილი ფაშისტების ლიდერის მუსოლინოს განცხადება. მუსოლინი აქვეყნებს გეგმას რომის აღებისას.

მისი აზრით ეს ამ ჟამათ შესაძლებელია, როგორც პოლიტიკურად ისე სტრატეგიულათაც, ამისთვის კიდეც მუშაობს მათი გენერალური შტაბი. ამ ამბებს აგრეთვე უკავშირებენ გაბრიელ და ანუნციოს იტალიის პირველ რესპუბლიკის პრეზიდენტათ გამოცხადებას.

# არტურ ლეისტის იუბილე

წელს სრულდება ორმოცი წელი, რაც იშვიათი ერთგულობით და დაუღალავი ენერგიით ემსახურება ქართველ ერის სახელს და მის გაცნობას ევროპის წინაშე ჩვენი ხალხის დიდი მეგობარი და ცნობილი გერმანელი მწერალი არტურ ლეისტ. ქართულ ახალ მწერლობის ისტორიაში ეს პირველი მაგალითია, რომ უცხოელ მწერალს ასე ახლოს მიეღოს ჩვენი ხალხის ბედი და ამდენი ემუშაოს მისი კულტურისთვის. 40 წლის განმავლობაში ბ-ნი არტურ ლეისტ სწერდა გერმანულ პრესაში საქართველოს შესახებ, მან პირველმა სთარგმნა „ვეფხვის ტყაოსანი“ და აგრეთვე გამოსცა გერმანულათ დიდ ტომიანი წიგნი ქართველ პოეტების ანტოლოგიის.

ამავე დროს ის განუწყვეტლივ თანამშრომლობდა ყველა ქართულ გამოცემებში.

მისი პატივისცემა—პატივისცემაა იმ დიდი ნაციის, რომელსაც ის ეკუთვნის. სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარი კომიტეტი ითვალისწინებს რა არტურ ლეისტის დიდ შრომას და ამაგს ქართველი ერის წინაშე მისი 40 წლის ღვაწლის აღსანიშნავად მართავს, კვირას 22 ოქტომბერს სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში იუბილეს და ამით მოგმართავთ თქვენ მიიღოთ მონაწილეობა ამ დღისთვის.

ამასთანავე გთხოვთ შეგვატყობინოთ რა სახით და როგორ მიიღებთ მონაწილეობას—შემდეგი მისამართით: ხელოვანთა სასახლე, სერგიევის ქ. № 13, მთავარი კომიტეტი.

სრულიად საქართველოს ხელოვანთა
კავშირის მთავარი კომიტეტის და
საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე **კოტე მაყაშვილი.**


## თბილის ხაშურის საგარაკო მატარებლებას გაუქმება.

საგარაკო სეზონის გათავების და მოაგარაკეთა დაშლის გამო, თბილისს და ხაშურ შუა შაბათობით მსვლელი მატარებლები №№ 18 და 17 30 ენკენისთვიდან გაუქმებულია.

## მატარებლების მიმოსვლის შეცვლა თბილისის და ჯულფის შორის

სამხრეთის რაიონის მგზავრების უფრო წესიერ მიმოსვლისათვის 30 სექტემბრიდან თბილისიდან, ბოლო 3 ოქტომბრიდან ნახიჩევანიდან ინიშნება დღე-გამოშვებით 26—24 და 26—27 მატარებლების მიმოსვლა შემდეგი ცხრილის მიხედვით: მატ. № 25—24 მიდის თბილისიდან ლუწ რიცხვებში, დღის 2 საათზე და 30 წუთზე. ალექსანდროპოლში მიდის კენტ რიცხვებში, საღამოს 9 საათზე და გადის ერევანიდან ნახიჩევანში ლუწ რიცხვებში, ღამის 12 საათ. და 35 წუთზე და მიდის ნახიჩევანში იმავე დღეს 12 საათზე და 15 წუთზე

უკან ბრუნდება: ნახიჩევანიდაკ—მატარ. № 26—27 კენტ რიცხვებში დილის 8 საათზე. ერევანში მიდის საღამოს 8 საათზე, გადის თბილისაკენ საღამოს 11 საათზე და 30 წუთზე, აგრეთვე კენტ რიცხვებში

ალექსანდროპოლში მიდის დილის 9 საათზე და 30 წუთზე; თბილისში მოდის ღამის 4 საათზე ლუწ რიცხვებში.

ამის გამო, ამავე 30 სექტემბრიდან უქმდება ერევანისა და ნახიჩევანის შორის კვირაში ხუთჯერ დანიშნული მატარებელი №№ 14—13 და 16—15.

**ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის მიწადმოქმედების განყოფილება**

აცხადებს რომ ქალაქის № 1 (ყოფ. მანთაშევის) მამულში ვორონცოვის ქ. № 125.

**დამზადებულია გასასყიდათ.**

## ყოველგვარი ყვავილები

და აგრეთვე შე ძლება შეკვეთა გვირგვინების, კალათების, მწვანეულობის დეკორაციების და ყვავილების დასაეზადებლად.

ფასები 20 პროცენტით ნაკლებია ბაზრის ფასზე.

**შეკვეთა შესრულება სწარმოებს წესიერად და სასწრაფოდ.**

კინო-მინიონი

**ახალი სურათი** თბილისში პირველად **ახალი სურათი**

პარასკევიდან, 6 ოქტ. 1922 წ. ერთად ერთი თავის შინაარსით კავკასიურ ცხოვრებიდან აღებული

## ალლა-ვერდი

**დრამა 5 დიდ ნაწილად.**

უმთავრეს როლებში: ზეია კარაბანავა, ვ. ა. გაიდაროვი და ტალანოვი,

სურათის ჩვენების დროს დაუკრავს საზანდარი საშა თარხნიშვილის მეთაურობით. — ფასები ჩვეულებრივი


მია, უნდა დაედვას საფუძვლად თეატრის არქიტექტურას. ეს კი არის პრინციპი „კონსტრუკტივიზმი“-ს. უკანასკნელს შეუძლებელია აცდეს თანამედროვე თეატრი.

მ უ ს ი კ ა. თანამედროვე დრამაში დაცული უნდა იყვეს აგრეთვე პარალელიზმი ორი რიგის. სიტყვიერის და ხმიერის. შეუძლებელია მათი შეხვედრა ერთად. სიტყვით ბოლომდე გამოთქმული ნივთი იღებს ახალ განათებას, რომელიც აღარ გადმოიცემა ისევ სიტყვით. ჭეშმარიტი პოეტი ისე შეეხება ნივთს შესაძლებელია სრულიად უბრალოს, რომ უკანასკნელი დაკარგავს სახეს ჩვეულებრივს და მიიღებს მეორე სახეს, რომლის გადმოცემა სიტყვითვე შეუძლებელია. დოსტოევსკის ხელში ყოველი საგანი იღუნება, იშლება, კარგავს გარკვეულობას და გადადის რაღაც მეტაფიზიურ, ასტრალურ სფეროში. კარამაზოვები, გრუშონკა და სხვა არ არიან უბრალო ცხოვრებიდან აღებული ტიპები, ყოველ მათგანში გადალახულია ტიპი და მოცემულია გადმოუცემი ასტრალური დაღი.

ასევე დრამაში, პოეტური სიტყვის პრესში გატარებული ნივთი კარგავს სხეულს და იღებს მეტაფიზიურ სულს. აქ უკვე უძლური ხდება სიტყვა შესაფერ განცდის გამოსაჩენად. რისი გადმოცემა აღარ ძალუძს სიტყვას უნდა გადმოიცეს მუსიკის საშვალებით. მართლაც მუსიკა არსებითად უსხეულოა. მაგალითი: ისმენთ მუსიკას და გიყვართ, მაგრამ არ არის ობიექტი სიყვარულის ან ჯავრობთ, აქაც არ არის ობიექტი ვისზე ჯავრობთ. არ არის საგანი. უკანასკნელი გახსნილია მუსიკის ხმებში და ამ ხრით მუსიკა უსხეულოა. მას შეუძლია გადმოცემა იმ ასტრალურ ნაჟურის რომელიც რჩება საგნის სიტყვაში გადატეხის შემდეგ. ამაში ა მისი ძალა და დანიშნულება. ამასთანავე დრამაში იგი ამა ხვილებს უკანასკნელის რიტმს და ამიტომ თანამედროვე დრამა ვერ ასცდება მუსიკას.

ა კ ტ ი ო რ ი. ძველ ინდუსებში იყო ცნობილი სწავლა „Upadqe“. მათი გაგებით ყოველი ადამიანში მოცემული იყო იმთავითვე მეორე ადამიანის სახე. შეიძლება საუკუნით წინ მცხოვრებ ადამიანის. „სახე“ მათი გაგებით არის მხოლოდ ნიღაბი, და ამიტომ ყოველ ადამიანს შეუძლია სხვად გცევა.

ამ პრინციპით მოდის დიონისი. გამოსვლა "პიროვნულ ფარგლებიდან და გადასვლა „სხვაში“ „უპიროვნოში“ ან ზეპიროვნებაში‘‘. ეს არის მთავარი არტისტისთვის. გამოსვლა თავის თავიდან და ექსტატიურ ხილვით თრობაში ,,სხვასი‘‘ სახით დაფოთვლა. არტისტი მატარებელია პლასტიურ სულის. იგი იღებს სხვის ,,სახეს‘‘ და მასში შლის თავის თავს. ამიტომ შეუძლებელია მიღება ნატურალისტურ თეატრის, რომელშიაც არტისტი არ არღვევს საკუთარ პიროვნებას სრულიად, არამედ უნდა ანალოგიით განიცადოს სხვისი განცდა.

საქმე ის კი არ არის რომ მოგვცე სახე რომელიმე ივან ივანიჩის, არამედ მთავარია დიონისური გატაცება, თრობა და მათი მოხიბვლა აუდიტორიის. ასევე მიუღებელია თეატრი თუობითი, რომელშიაც არ არის სისავსე დიონისის, მისი სინედლე და გადალახვა საზღვრების, ის რაც ქმნის მაგიურ შთაგონების პათოსს.

მაგალითი: საკმარისი იყო გამოჩენილიყო ნაპოლეონი თავის ჯარებში, რომ ყველა გაქვავებულიყო მისი თვალების გამოხედვის წინაშე, ასეთ გამოჩენაში გადმოუცემში არის არტისტული განათება საგნის. აგრეთვე ნიკიში გენიალური დირიჟორი. ხშირად ისმოდა ორკესტრში უკმაყოფილება მის წინაალმდეგ, თითქოს სპექტაკლიც უნდა ჩაშლილიყო.

მაგრამ საკმაო იყო გამოსულიყო თვით ნიკიში გადაეხედა ორკესტრისთვის, რომ ყველა დადუმებულიყო. აი ეს არის არსებითი მხარე არტისტის. აქ არის ის მაგიური გავლენა მაყურებელზე, რომელიც არ გადმოიცემის სიტყვით, მაგრამ რომელიც უნდა იყოს მოცემული არტისტში. თუ არ არის ეს მაგიური ხაზები ისე არ იქნება არტისტი.

ამით აიხსნება ისიც, რომ შესაძლებელია იყოს არტისტი გენიოსი, შეუდარებლად ითამაშოს რამოდენიმეჯერ ჰამლეტი, მაგრამ ერთხელ დვორნიკივით გამოვიდეს სცენაზე. არტისტული შემოქმედების პროცესი ხდება სცენაზე. რა თქმა უნდა არის

წინასწარი მომზადება, მაგრამ ის რაც თეატრალურ სანახაობას ქმნის ეს ხდებათვით სცენაზე და ეს არის მაგია არტისტის.

რ ე ჟ ი ს ო რ ი. როგორც აღნიშნული იყო თანამედროვე თეატრი უნდა იყვეს მომცემი დასრულებული და მთლიანი მონუმენტალურ ხაზების. აქ არ შეიძლება ბატონობა ნაწილის. აუცილებელია მათი სინტეზი რეჟისორი არის მქმნელი მთლიანობის, დირიჟორი

ორკესტრის, მხოლოდ მომზადების პროცესში. მან უნდა შექმნას ,,წრე‘‘ გამჭვირვალე. რომელშიაც შესაძლებელი იქნება მაგიური შემოქმედება. თანამედროვე თეატრისთვის აუცილებელია დიდი ნება თეატრალური. ამიტომ ყოველი არტისტი უნდა იყვეს დაჯილდოვებული ამ დიდი ნებით. ამ აზრით რეჟისორი არის გადმომცემი ნების, მისი არტისტში გაღვივების და გაძლიერების. ამიტომ რეჟისორმა აუცილებლად უნდა იცოდეს ოკულტიზმიც, რომელიც ანვითარებს ადამიანში ნებას და მის საწყისს.

მ ა ყ უ რ ე ბ ე ლ ი. თუ არ არის მაყურებელი არ არის თეატრი. შეცდომათ უნდა ჩაითვალოს ცდა ზოგიერთ ნოვატორების რომელთაც სურთ რამპის მოშლა. შეცდომაა აგრეთვე ვიაჩესლავ ივანოვის მიწრაფება ძველი ტრაღედიის და თეატრის აღდგენისაკენ მიმართული. ძველ. „ხორში“ უკვე იგულისხმებოდა იდეალური მაყურებელიც, ეს არ არის თანამედროვე დრამაში და რამპის მოშლა გამოიწვევს მხოლოდ კოვოფონიას და სხვას არაფერს. შეუძლებელია უარყოფა ფარდის, ვინაიდან ფარდასთან არის დაკავშირებული ცდა იდუმალების, სიხარულის. ფარდის წინ ხდება მომზადება მაყურებელის და შემდეგ არტისტის გამოსვლას შეაქვს აუდი ტორიაში ელემენტი გატაცების, თანახმიერ გულის ცემის. ამ აზრით მაყურებელი იღებს მონაწილეობას კრებითი მოქმედებაში. ამაში უნდა იხატებოდეს მაყურებელის მონაწილეობა და არა დარბაზის სცენასთან გაერთიანებაში.

ე რ ე ბ ი და რ ი ტ მ ი. მისაღებია სახეში რასიული პსიქიკა. ყოველი რასა მომწყვდეულია განსაკუთრებულ ფსიქიკაში, რომელიც ძირეულად ანსხვავებს მას სხვა რასას. ჩეხოვის ჩრდილები და ნიუანსები შესაძლებელია მხოლოდ რუსეთში. ასევე ლევიტანის პეიზაჟი. ღალატი, რომელიც სასწაულს ახდენს ქართულ სცენაზე, ჩვეულებრივი წარმოდგენის სახეს მიიღებს გერმანიაში. ღალატი სისხლი და ხორცი ქართული ტემპერამენტის, პათოსის და ფსიქიკის, ამიტომ ესთეტიური ხილვა აქ დადის ფიზიოლოგიამდე. ყოველ რასას აქვს თავისი ჟესტი. შესაძლებელია იყოთ იტალიაში, არ გესმოდეთ ენა იტალიური მაგრამ გაიგოთ იტალიელი. ვინაიდან შეიძლება ,,იხილოთ‘‘ მისი სიტყვა როგორც ჟესტი უკანასკნელი არსებითი თეატრში ამიტომ ყოველ ერს აქვს თავისი თეატრი.

ე პ ო ქ ე ბ ი და რ ი ტ მ ი. ისტორიის მანძილზე ხდება ცვლა კულტურულ ფორმების. ყოველ ეპოქას ახასიათებს თავისი კულტურული ფორმა. უკანასკნელთან ერთად იცვლება ფორმა შემოქმედების. ერთია ძველი კულტურა ელინური და გამომხატველი მისი ჰომერი.

შეუძლებელია ახლა წერა იმ ფორმით, როგორითაც სწერდა ჰომერი. ამიტომ ყოველ ეპოქას აქვს თავისი რიტმიც. ერთია რიტმი ქარავანის ნელი სვლის და რიტმი თანამედროვე ავტომობილის გაქანების.

ინდუსტრია, ლანდო, ავტომობილი, დრედნოუტი, აეროპლანი, მაშინიზმი არის დამახასიათებელი თანადროობის ამიტომ თეატრსაც უნდა ახასიათებდეს რიტმი რკინის, ჯავშნის, სიძლიერე, ზომიერება, სისადავე, სისწორე, ეკონომია და ფატალობა. თანამედროვე თეატრში უნდა ისმოდეს რიტმი აეროპლანის და მანქანის. აქედან მომდინარეობს აუცილებლობა სხვა თეატრალურ ფორმებისა და პირველ ყოვლისა: სიძუნწე სიტყვების, დაშლა სახეების, პრიმიტივის მაგარი ფესვები.

თანამედროვე თეატრი არის თეატრი მასსის და გაკვირვების.

რედაქტორი: **გიორგი ლეონიძე.**

## ს. მ. უ. ს.

## ცენტრალური სავაჭრო სამართველო

**უნივერსალური მაღაზიები № 1 და 3**

1) სომხის ბაზარი (ქარვასლა ყოფ. მანთაშევი) 3) სასახლის, 8 (ყოფ. ალშვანგის)

### შემოდგომის სეზონისთვის

მიღებულია საქონელი ბათომით და გამოვიდა გასაყიდათ

### შალის ქსოვილი

შევიოტი ყველა ფერების დრაპი ვაჟების და ქალების პალტოებისთვის შალის მატერიები ვაჟთა და ქალთა კოსტიუმ. კუპონები მამაკაცთა კოსტიუმ.

### აბრეშუმი:

აბრეშუმების კრეპონი „დიუშესი“ და სხვ.

### ტრიკოტაჟი:

ჟაკეტები „პაულა,“ აბრეშუმის, საზამთრო ყველა ფერების „ „ მსუბუქი„ „ „ შალის, ბავშვების და ქალების სვევსტები შალის, ქალთათვის, ბავშვების, ვაჟების ჩულქები აბრეშუმის, ფილდიკოსის-ყველა ზომის და ფერების-ქალთათვის და ბავშვებისთვის. ნასკები მამაკაცისთვის, ფილდიკოსის ყველა ზომის.

### დიდი არჩევანი:

### ქაღალდის ქსოვილები

ბატისტი ჩითი, რენო ბუმაზეია. გრისბონი ფლანელი, მადეპალამი, შოტლანკა სატინი,

### შეკერილი საცვლები მამაკაცისთვის

### ჭურჭელი

სამზარეულო, მინანქარით სასადილო ყოველგვარი შუშეულობა

### გალანტერეია, პარფიუმერია (სამღვარეულის) შეკერილი ტანისამოსი

მამაკაცების შალის კოსტიუმი ტყავის კოსტიუმების კომპლექტი პალტოები ქალების და მამაკაცები:

### შეკერილი ფეხსაცმელები ქალთათვის.

მამაკაცისათვის **საკუთარი სახელოსნოში მიიღება შეკვეთა ყოველგვარ ფეხსაცმელზე**

**მაღაზია № 2** ქარავან-სარაი ტამამშევისა

### კონიაკები და არაყი სარაჯევისა „არგო“

**თუთუნი** საბჭოთა ყველა ქარხნების.

**პაპიროსები** სოლიდნი, საბჭოთა, ეგიპეტსკი, დელიკატეს, საფო, არისტოკრატიული და სხვ.

### მიღებულია ახალი საბჭოთა პაპიროსები ფასებიზომიერია.

პროფკავშირის წევრებისთვის 10 პროც. დაკლებით.

---

## ს. ს. ს. რ.

### კონტრსააგენტო

## ცენტროტრამოტა ს. მ. უ. ს.

აწარმოებს ოპერაციებს:

1. **გადატანა საქონლისა,** ქალაქში სადგურიდან და სადგურზე თავის საბარგო ავტომობილებით და დროგებით.

**2. მიღება და გაგზავნა საქონლისა** საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის რ. ს. ფ. ს. რ. რკინის გზაზე და საზღვარ გარეთ კომისიონურ პირობებზე.

**3. შენახვა ყოველგვარ საქონლისა** და ტვირთისა თავის საწყობებში, ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებში.

**4. მოლაპარაკების გამართვა რკინის გზის მართველობასთან** და სხვა დაწესებულებებთან საქონლის მიღების და გადაგზავნის შა-სეხებ.

**5. ყოველგვარ დოკუმენტების მოწყობა** ამიერ—კავკასიის რკინის გზის სამმართველოში.

**6. ამიერ-კავკასიის რკ. გზ და რ. ს. ფ. ს. რ. მთელ ხაზზედ ბარგის მიღება.**

7. საქონლის პატრონების თანხმობით, საკონტრაგენტო კისრულობს სადგურზე საქონლის გაყიდვას და აგრეთვე საკონტრაგენტოს საწყობებში საქონლის მიღების დროს მის საკომისიოდ გაყიდვას,

**8. მიღება დანიშნულ ადგილზე** გასაგზავნ საქონლისა ფრახტის გადახდით.

**9. დღე-ღამის განმავლობაში ვაგონების მიწოდება.**

**10. აგენტები არიან ნათლუხის საბარგო სადგურზე** და ამიერ-კავკასიის რკ. გზ. სამმართველოსთან არსებულ ცენტრალურ სალიკვიდაციო საწყობში.

**ტვირთის გადატან-გადმოტანა** საბარგო ავტომობილებით და დროგებით—კოჯორი—მანგლისი—ალბულაღი--ეკატერინოფელდი—სიღნაღი—კახეთია—კავკავი.

კონტრსააგენტო პასუხს აგებს თუ ვინიცობაა დაიკარგა, დაიმტვრა, გაფუჭდა ან მოიპარეს მიღებული საქონელი გადატანის დროს. კონტრსააგენტო პასუხს აგებს საქონლის მიღების დროიდგან დანიშნულებისამებრ ჩაბარებამდე. აგრეთვე პასუხს აგებს საქონლის შენახვისათვის და ვაგონების ზედმეტ დროს გაჩერემისათვის.

მისამართი: მოედანი. ბერძენთა პასაჟის შუა სართული № 5. ტელეფონის 10—5 კონტორა ღია არის 9—5 საათამდე.

საკონტრაგენტო „ცტემო“ აუწყებს საზოგადოებას, რომ კლიენტებისათვის საქმის გასაადვილებლად თავისუფლების მოედანზე ახლო მომავალში იქნება მოწყობილი საკონტრაგენტოს განყოფილება.

**საკონტრაგენტო „ცტემო“.**

---

## სახალხო მომარაგების კომისარიატი

## ს. ს. ს. რ.

### უნივერსალური მაღაზია

### № 1

**სასახლის ქ.** ყოფილი ჟირარდოვის მაღაზია

**მიღებულია ფართლეულობის ახალი პარტიები:** ცნობილი ვენის ფორმის „პოპერ“-ის ფეხსაცმელი, გალოშები, საგალანტერიო საქონელი, მინის ჭურჭელი, ალუმინის, ემალის და სხვ. ფართო მოხმარების საგნები.

**უცვლელი ფასები.**

**პროფკავშირის წევრებს 10% დაკლება.**

### სასოფლო მეურნეობისათვის

**ყველაფერს საჭიროს** იშოვით **№ 2** მაღაზიაში.

პლეხანოვის პროსპ. ხელოსანთა კლუბის პირდაპირ.

### სამეურნეო იარაღები:

გუთნები, სათესები, ცხენის ფოცხები, სათიბავები, კულტივატორები, სეპარატორები და სხვ., თუნუქი ფანჯრის მინები ინსტრუმენტები ლურსმები, ლომები, წერაქვები, გრდემლები, ჩაქუჩები, კანაფი, გოგირდი, შაბიამანი და სხვა

**სასოფლო მეურნეობისთვის საჭირო მასალები.**

### სასურსათო მაღაზია № 3

სადგურის ქ. ამიერ კავკასიის რკინის გზათა სამმართველოს შესავლის პირდაპირ.

### საბაზრო ფასებზედ ნაკლებ:

**ფქვილი,** ქვავი, **ხორბალი, ქატო, ნარჩენი,** დაპრესული თივა, ქერი.

### საკომერციო განყოფილება

ევანგულოვის ქუჩა № 2.

### ყიდულობს: აბრეშუმს, ფრიზონს, აბრეშუმის პარკს და

სხვა ნედლ მასალას, სურსათ სანოვაგეს და ფართე მოხმარების საგნებს, როგორც ნაღდზედ ისე საქონელზედ გაცვლით.

### მუშების რაიონების დასაკმაყოფილებლად

მოკლე ხანში გაიხსნება ფართლეულობის მაღაზია № 4

**ვაგზლის ქუჩა ამიერ კავკასიის რკინის გზათა სამმართველოს შესავლის პირდაპირ**

---

## განცხადება

### ამიერ-კავკ. რკ. გზ. სამმრთლველო ამით აცხადებს, რომ 16 ოკტ. წლის 12-საათზედ რკ. გზ. სამართველოში დანიშნულია საჯარო შეჯიბრება სხვა და სხვ ელექტრო-ტეხნიკურ მასალების მიწოდებაზედ.

მასალების სიის გადაშინჯვა შეძლება ყოველდღე 9-3 საათამდის, სამეურნეო-მატერიალურ სამსახურის მომარაგების ნაწილში. მიწოდების მსურველი აღნიშნულ დროსათვის პირობები დახურულ კონვერტით უნდა ჩაუშონ ყუთში, რომელიც იმყოფება სამეურნეო-მატერიალურ სამსახურთან, წარწერით: 15 ოკტ. ელექტრო-ტეხნიკურ მასალების მიწოდების შეჯიბრებისთვის.

ამასთანავე. მონაწილეს მიერ რკ, გზ. სალაროში შეტანილ უნდა იყოს ბე განცხადებულ ჯამის 5 პრც. რაოდენობით.

## ს. ს. ს. რ.

## ბანკის სავაჭრო განყოფილება იწვევს მსურველებს ვინც აიღებს მილიციის ჩაცმადხურვის საქმეს

მოლაპარაკება სახალხო ბანკის სავაჭრო განყოფილებაშ

(ლორის მელიქოვის ქუჩა) (3—1)

---

ნება დართ. სამხ. ცენზ. 3000. სახედრო საზღვაო კომისარიატის სტამბა